ფასი 2 მან.

ოთხშაბათი თი, 25 თიბათვე 1919 წ. № 130

საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია დღეა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. საგრედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—120 მ. ოთხში (მხოლოდ ქალაქში) 40 მანეთი. ცალკე № 2 მან. **განცხადების ფასი** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე—1 მ. 50 კ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორაგერ მეტია. **ხამგლოვიარო განცხადება** თითოეულ 50 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა **15—73**

ხუთშაბათს, 26 თიბათვეს, საღამოს 7 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში („ქართულ კლუბის" პირდაპირ) დანიშნულია **საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტის ქ. თბილისის**

მე-2 რაიონის (მე-2, 3 და 4 სამილიციო უბნები) წევრთა

საზოგადო კრება

დღის წესრიგია: 1) ია. ჯავახიშვილის მოხსენება და 2) მორიგი საკითხები.

ქართული კლუბი

ოთხშაბათს, 25 ივნისს გაიმართება

კ ო ნ ც ე რ ტ ი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი მოროზოვისა, ფავლინიშვილი; ბ-ნი ნიკოლსკი, ფიშბერგი, კოპელნიკკი, გორელიკი, მალამედ, თარხნიშვილი და იმერლიშვილი.

დასაწყისი საღ. 9 საათზე. ფასი 1—5 მან.

საქართველოს დამფ. კრების კანცელარია

ამით აცხადებს, რომ დამფუძნებელ კრების სტენოგრაფიული **ანგარიშები** ამიერიდან „**საქართველოს რესპუბლიკის**" **ხელის** მომწერთ აღარ გაეგზავნებათ.

საჭიროა ერობებმა, ქალაქებმა და სხვა კერძო თუ საზოგადო დაწესებულებებმა დროზე აცნობონ სტენოგრაფიულ ოქმების რედაქციას (სასახლე, ოთახი № 29 ტელ. 6—18) გამოწერის სურვილი, რათა ჩაეწერონ. ხელის მომწერთა რიცხვში.

ფასი წლიურად და თითო ნომრის ცალკე გამოცხადდება.

3—121—1

ვ. იაშვილის სახელოსნოში

ოლღას ქუჩა № 18.

იყიდება ახალი, და ვღებულობთ შესაკეთებლად ვენახის სარწყავ მანქანებს სისტემა „ვერმორელი"-სა იქვე იყიდება სხვა და სხვანაირი გოგირდის საბერველები და ასანთები (ზატიგალკა). 3—2466—3

ქართული კლუბი

6 მკათათვე

დიდი სეირნობა-საღამო

გაზეთ „საქართველოს" ფონდის გასამლიერებლად.

1—1 საღამოს გამგე ნ. ე. წეროვა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

საქართველოს **რესპუბლიკის** სამხედრო სამინისტროს ადმინისტრატიული განყოფილება აცხადებს, რომ ოთხ მკათათვეს, დღისით 12 საათზე, ხსენებულ განყოფილების შენობაში დანიშნულია პირადი და წერილობით დაბეჭდილ პაკეტებში

საჯარო ვაჭრობა 25.000 თუშურ ქუდზე

საქართველოს **რესპუბლიკის** ჯარისთვის. ვაჭრობა შეუძლიან იმათ ვისაც აქვთ საამისო კანონიერი უფლება. ვისაც ჰსურს მიიღოს მონაწილეობა პირად ვაჭრობაში უნდა წარმოადგინონ 4-ს მკათათვეს, 12 საათამდე საწინდარი არა ნაკლებ 5.000 მანეთისა და აგრეთვე განცხადებანი რომელშიც უნდა აღნიშნონ თავისი სურვილი პირად ვაჭრობაზე და ისიც რომ კისრულობენ თუშური ქუდების ჩაბარებას თანახმად პირობებისა და დამტკიცებულ ნიმუშისა. ყველა წარმოდგენილ განცხადებაზე დაკრული უნდა იყვეს ორი თითო მანეთიანი ღერბის მარკა.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება **დაბეჭდილ** პაკეტებით თავიანთ განცხადებაში უნდა აღნიშნონ უკანასკნელი გადაჭრილი ფასი თითო თუშურ ქუდზე და ეს ფასი უნდა იყვეს **დაწერილი** ან **დაბეჭდილი** სიტყვებით და არა ციფრებით და აგრეთვე წარმოადგინონ იგივე საწინდარი 5.000 მანეთი, დანარჩენი პირობები იგივეა როგორც პირადი მოვაჭრეებისა. პირობებისა და თუშური ქუდის ნიმუშისა ნახვა შეიძლება ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 10 საათიდან 2 საათამდე **სამხედრო** სამინისტროს ადმინისტრატიულ განყოფილებაში. ბარიათინსკის ქუჩა № 10.

(3—119—2)

ევროპიულ-კავკასიური სავაჭრო ბანკი ყოფილი გერმანულ-კავკასიური ბანკი

განაგრძობს თავის ოპერაციებს ბანკის წესდების მიხედვით

ნალდ ფულზე

გ. ლეონიძე

წიგნი I.

1. „კვირეები". 2. „ცივი ნავრუბი".
3. „ყაბახები". 4. „საქართველო".

წიგნი მკათათვის ნახევრებში გამოვა.

დაიბეჭდა და გასასყიდად გამოვიდა
მიწის საკითხი საქართველოში
ალ. ასათიანისა

თ. 1. მიწად მფლობელობის ფორმები; 2. მიწად მფლობ. საზოგადო და კერძო საკუთრებითი; 3. სახელმწიფოს სააგრარო პოლიტიკა; 4. მიწად-მფლ. მასალები, სახაზინო, საუფლისწ. და ხიზნების მფლობელობა; 5. კერძო მიწად მფლობელობა; 6. კერძო მიწად-მფლ. რაოდენობა და მიწის ფონდი; 7. მეურნეობის პირობები; 8. სოციალისტური პარტიების სააგრარო პოლიტიკა; 9. მეურნეობის დიფერენციაცია; 10. მიწის საკითხი ევროპის სახელმწიფოებში; 11. რევოლიუციური სააგრარო პოლიტიკა; 12. ბოლოსიტყვაობა. წიგნის მიღება შეიძლება გაზეთ „საქართველოს" კანტორაში და ყველა წიგნის მაღაზიებში. 10—უ—1

იბეჭდება:

თ ა ვ უ ნ ა

წიგნი 1.

სომხეთის „თვითგამორკვევა" საქართველოში

უკვე ათ დღეზე მეტია, რაც კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია შეწყდა და საქართველო, აზერბაიჯანთ, მთიელთა მთავრობის დელეგაცია სომხეთის პასუხს ელიან.

ეს ხანი სავსებით საკმაო, რომ სომხეთის მთავრობას წარმოეთქვა თავისი სიტყვა და გარკვეული პასუხი გაეცა, თუ ვისთან არის იგი:

ამიერ-კავკასიის ერთა შეთანხმებულ კავშირში, თუ ამ კავშირის გარეთ და მის წინააღმდეგ.

სომხეთის მთავრობის ოფიციალური პასუხი ჯერ ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ჩვენ ვიცით სომხეთის ოფიციალურ წარმომადგენელთა არა-ოფიციალური განცხადება, „შეგობრულ ნეიტრალიტეტის" შესახებ. სომხეთის მთავრობის ოფიციალური პასუხიც, ესათუოთ, ესეთივე იქნება.

და ეს განცხადება, ვერც ვერვის გააკვირვებს და ვერც ვერვის შეაშინებს, რადგან სომხების დღევანდელი პოზიცია, ბუნებრივია და საკმაოთ ცნობილი იმ ხალხისთვის, რომელიც თავის კეთილ დღეობას მხოლოდ სხვის უბედურებაზედ აშენებდა.

ასეა, თუ ისე საქართველოსა და აზერბაიჯანისთვის უკვე სავსებით ნათელი უნდა იყოს, რომ სომხეთის რესპუბლიკას, თუ მტრის ბანაკში არა, მეგობართა რიგში, ყოველ შემთხვევაში, ისინი ვერ ნახავენ.

ერევნის მთავრობა დამოუკიდებელ სახელმწიფოს განაგებს და საკუთარი საგარეო პოლიტიკა აქვს, რომელიც განსაკუთრებულ ანგარიშის გაწევას ითხოვს, მაგრამ იმ დროს როდესაც, ერევნის სომხობა დღევანდელ მომენტში განზედ სდგება, საინტერესოა რა პოზიცია უნდა დაიკავოს საქართველოში მოსახლე სომხობამ?.

ჩვენ არა ერთხელ გვქონია შემთხვევა, მოგვესმინა მათ ოფიციალურ წარმომადგენელთაგან, ფიცი საქართველოს ერთგულობის წინაშე, მაგრამ მრავალჯერვე გვქონია შემთხვევა დავრწმუნებულიყავით, თუ ოგორ უღალატნიათ მათ ამ ფიცისათვის, როდესაც საქართველოს ისინი ამ ერთგულებისადმი მოუწვევია. დღეს მათს წინაშე ისევ დადგა დრო მოცემულ სიტყვათა განადგურებისათვის, და საქართველოში მოსახლე სომხობა ისევ ააკარავებს დაფარულ გულის ზრახვათ.

თუ მთელი უკანასკნელი ხანი ადგილობრივი სომხური პრესსა სრულებით გვერდს უხვევდა დენიკინის საკითხს და რამდენიმე ოფიციალურ შეკითხვებზედ თუ ვისთან იქნება იგი, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა თავდაცვის საქმეში, ორპოფფლად საკითხს ბანზედ აგდებდა, დღეს სავსებით ნიღაბ-ახდილად აცხადებს, რომ სომხები, საქართველოს მთავრობას მხარს არ დაუჭერენ.

გაზეთ „აშხატავორის" № 118 მეთაურში სწერია:

„გადაარჩინეთ ყარაბაღი „მუსავატის" თავდასხმისაგან, უზრუნველჰყავით სომხეთის ხალხი ფაშების შემოსევისაგან, გადაარჩინეთ ახალქალაქის, ბორჩალოს და საქართველოს სომხობა „ოპრიჩნიკების" ტერორისაგან და მხოლოდ მაშინ მოგვთხოვეთ მსხვერპლიო".

რომ გავუხსნათ უფრო გარკვევით ფრჩხილები ამ ამონაწერს, ჩვენთვის აშკარა იქნება, თუ რას ფიქრობს ეს გაზეთი.

მაგრამ ამას არ ფიქრობს მარტო გაზეთი „აშხატავორი", იგია ორგანო საქართველოში მომქმედ „დაშნაკციუთუნის" პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ხოლო ეს კომიტეტი სომხობის უდიდეს ნაწილს საზოგადოებრივ აზრს გამოხატავს.

ჩვენ კიდევ გვსურს დავიტოვოდ იმედი, რომ გაზეთი „აშხატავორის" მეთაური დაუშვებელი უპასუხისმგებლობის შედეგი არის და სომხების საზოგადოებრივ წრეებში მოიძებნება გონიერება სავსებით შეაფასონ მომენტი და მისი მოთხოვნილება, მაგრამ თუ ეს წერილი შედეგია უკვე აწონილ და მოფიქრებული აზრისა და საქართველოს სომხობამ სავსებით შეაფასა ყველა მოსაზრებანი რომ ასე აშკარათ გადასწყვიტა გამოვიდეს ნიღაბ ახდილი, საქართველოს მთავრობამაც უნდა სავსებით შეაფასოს ეს გამოსვლა.

როდესაც სომხეთის რესპუბლიკა იქერს „ნეიტრალიტეტს" და განზედ სდგება გადამწყვეტ მომენტში ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია მორალურად ავწონოთ მისი მოქცევა და მომავალ დროისთვის გადავდოთ მასთან ანგარიშების გასწორება;

მაგრამ სრულებით სხვა გვარი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება აქაურ სომხობასთან, რომელსაც თავი ჩვენს ტერიტორიაზედ შეუფარებიათ, ჩვენი სახელმწიფოს ქვეშევრდომობა მიუღია და საქართველოს ხელმწიფება უცვნია. მათვის არჩევანი არ არსებობს:

ეს ხალხი ან უნდა დადგეს საქართველოს დამცველთა რიგში, ან უნდა იქნენ მოღალატეებათ აღიარებული.

თუ საქართველოს სომხობის საზოგადოებრივ აზრს პასუხისმგებელ ხელმძღვანელთ გარდაუწყვეტიათ ასე აშკარათ გამოსვლა ჩვენს წინააღმდეგ, მთავრობამაც არ უნდა დააყოვნოს შესაფერი ზომების მიღება.

დენიკინი და ფინლიანდია

ყოველი ჯგუფი რუსეთში, რომელიც ყოფილ რუსეთის აღდგენაზე ფიქრობს და ფიქრობდა გულახდილათ ვერ ამხელდა თავის გულის ნადებს და დემოკრატიულ ცრაზების და დაპირებების ბუროსში ჰხვევდა თავის შავ სურვილს. კალჩაკი, ალექსეევი და შემდეგ დენიკინი თითქო ანგარიშს უწევდენ მდგომარეობას და ჰქმნიდენ ილიუზიას, რომ დამფუძნებელ კრებას გადასცემენ რუსეთის მოწყობის საკითხს გადასაწყვეტათ, ნამდვილათ ამ ძველი ცარიზმის კლეკრეტერი, რომელთა ირგვლივ იერიშების ან გზა დაბნეული რუსის ლიბერალები და სოციალისტები ოცნობებენ ძველი რუსეთის აღდგენაზე და თვითმპყრობელობის მეთოდებით. და ამას, რასაკვირველია ამჩნევდა ყველა ფხიზელი პოლიტიკოსი, ხოლო დღეს ბევრი მაგალითია იმის, რომ დენიკინის და კოლჩაკის ბევრ გულუბრყვილოთ გამოაფხიზლებს. და სამუდამოთ დაუკარგავს ილუზიებს.

მოხალისეთა არმიასთან არსებული საგენტო „ოსვაგომი" იტყობინება რომ ინგლისმა და ამერიკამ იცნო ფინლიანდიის დამოუკიდებლობა. ს. საზონოვი, რომელიც განაგრძობს რეაქციონურ რუსეთის საგარეო მინისტრათ ყოფნას ატყობინებს ამას დენიკინს და როგორც მოსალოდნელი იყო დენიკინი თავის პასუხში ანიშნავს დემოკრატიულ მოტივებს ერთა თვითგამორკვევის და კერძოთ ფინლიანდიის შესახებ, მაგრამ შემდეგ ბევრი მოსაზრების გამო და უმთავრესათ კი სტრატეგიულის ფინლიანდიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგია და ამას გადასცემს ანტანტს საზონოვის პირით.

თუ დენიკინი ისე ექცევა ფინლიანდიას, რომელსაც ჯერ კიდევ მეფის დროს ჰქონდა თითქმის დამოუკიდებლობა და რომელსაც ასე მფარველობენ ამერიკა და ინგლისი უეჭველია მისი დამოკიდებულობა სხვა ყოფილ რუსეთის ერებთან არაფერ იმედს არ უნდა იწვევდეს.

აშკარაა აქედან რა ფასი უნდა ჰქონდეს საქართველოს და ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკების დენიკინის დაპირებას, რომ დამოუკიდებლობას არ შეეხება და არ შეეცდება მის დანგრევას.

ქართველი ხალხი ამას ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებდა და დღეიდან ვერვინ გაბედავს, რომ ალაპარაკდეს დენიკინთან საერთო ენის გამონახვაზე...

მხოლოდ ეს კია რომ ინგლისიცა და ამერიკაც ბევრს ამედიებს დენიკინს და დენიკინის ტონი გამოიცვალა.

ცოტა ხნის შემდეგ დენიკინის შტაბში ალაპარაკდებიან კონსტანტინეპოლზედაც კი.

ასეთმა გულზვიადობამ დაღუპა ყოფილი რუსეთი—და დენიკინის იმედიც წინდაწინ განწირულია დასამარცხებლათ ანდა დამარცხებულია კიდეც საუდამოთ.

საქართველოს მტრების მუშაობა

სტოკჰოლის ფრანგულ გაზეთ „სტამბოლ"-ში დაბეჭდილია ცნობილი რეაქციონერის და მოღალატე თავადი დ. მარშანიას წერილი ჩვენი დელეგაციას თავმჯდომარე კ. ჩხეიძესთან. მოგვყავს იგი სრულიად.

„ღია წერილი" საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარეს ბ-ნ ჩხეიძეს.

ბატონო! მე წავიკითხე განცხადება, რომელიც გააკეთეთ თქვენ შესახებ საქართველოს მონაწილეობისა პარიზის საზავო კონფერენციაზე თვისი დამოუკიდებლობის დასაცავად.

საქართველოს ამ ჟამად მზადაა მიიკუთვნოს ჩემი ქვეყანა, შეჰბღალოს მისი დამოუკიდებლობა და მთლიანობა ყოველად დასაგმობ ძალადობით. აფხაზეთის სახელით ვაცხადებ ჩემს პროტესტს ამ პატარა ქვეყანას თავისდღეში არაფერი ჰქონია საერთო საქართველოსთან არც თავის ეროვნების, არც ენის და არც ტრადიციების მხრით.

თქვენმა ქვეყანამ დაჰკარგა თავისი დამოუკიდებლობა 1801 წელს. ჩვენმაკი, აფხაზეთმა, შეინარჩუნა იგი 1810 წლამდის, იმ ხანამდის, როდესაც განსაკუთრებულ ხელმეკრულობით ის იყო დაკავშირებული რუსეთთან.

საქართველოს კი ავიწყდება რამდენჯერ იხსნა ის წარსულში აფხაზეთმა ყოველად უმწეო მდგომარეობიდან.

საქართველო სურს დაეპატრონოს თავის გამორჩომისათვის და დაახრჩოს ეს პატარა ქვეყანა ერთი უმდიდრესთაგანი მთელს კავკასიაში. ვითომ და ბოლშევიკებთან ბრძოლაში საშველად. თქვენი წითელი გვარდია შემოიჭრა აფხაზეთში. მაგრამ თქვენ არ დაიგვიანეთ გამოგეაშკარებინათ თქვენი ნამდვილი სახე: ძალადობით მოსპეთ ჩვენი ეროვნული საბჭო, მისი წევრები ტფილისში გაჰგზავნეთ სადაც ისინი დღევანდლამდე თქვენს სატუსაღოში იმყოფებიან.

მაგრამ ეს არ იკმარეთ, თქვენ განადგურებას მიჰყავით ხელი: ყველა ისინი ჩვენთა შორის, ვისაც კი შესწევდა რაიმე განათლება, იყვნენ დევნილი თქვენგან. ჩვენი ენა, ხელშეუხებელი რუსეთის მთავრობისაგან, თქვენგან აიკრძალა; ჩვენი სასწავლებლები დახურულია, ყველა ჩვენი მოსამსახურენი გარეკილნი და შეცვლილნი თქვენებით. რამდენ ათას მსხვერპლს გამოსჭერით თქვენ ყელები? რამდენი სახლი დაანგრიეთ თქვენ ზარბაზნების ყუმბარით? მაგალითად, დავასახელებ მხოლოდ ჩვენი ეროვნული საბჭოს წარმომადგენელ ბასარიას.

თქვენმა მეგობარმა გერმანელებმა ჩინებულად შეგიწყეს ხელი თქვენს სამწუხარო მოქმედებაში; თქვენ მოუწოდეთ მათ და გადაეცით მთელი თქვენი ქვეყანა. თქვენ ვერ გაიმართლეთ თავს იმითი, რომ ჩაიდინეთ ეს ბოლშევიკებთან საწინააღმდეგოდ. ისინი აღარ იყვნენ თქვენს ქვეყანაში. თქვენ მიეცით თავი გერმანელების ძალას იმიტომ, რომ დარწმუნებული იყავით მათ გამარჯვებაში.

თქვენ კიდეც გამოიანგარიშეთ მათი ნადავლი და წინასწარ მიიკუთნეთ ის, რასაც ისინი დაგპირდნენ; ამ დავლის ნაწილი, იყო აფხაზეთი, რომლის შვილებმაც თავი ისახელეს რუსეთის ჯარში ავსტრია-გერმანელებთან ბრძოლის დროს.

ეხლა მე ვეკითხები, ბატონო, ჩემს თავს: რა პირით გაბედავთ თქვენ წარსდგეთ კონფერენციის წინაშე პარიზში? და რა უფლებები უნდა დაიცავთ განათლებულ ქვეყანათა წინ, ვინაიდან სიმართლე გდევნით თქვენ უმაღლეს ტრიბუნამდის, სადაც თქვენ დარჩებით პირშერცხვენილი.

დ. მარშანია.

დამფუძნებელი კრების კომისიებში

აგრარულ კომისიას დღეს, საღამოს 6 საათზე, დამფ. კრებ. კანცელარიის ბინაზე შესდგება აგრარულ კომისიის მორიგი სხდომა.

ადგ. მმართ. და თვითმმ. კომ. დღესვე დილის 11 საათზე შესდგება ადგილობრივ მმართველობისა და თვითმმართველობის კომისიის სხდომა, განსახილველია შემდეგი კითხვები: 1. რესპუბლიკის ყველა ქალაქების სასაზღვრებლოდ საფუთო გადასახადის დაწესებისა, 2. ქ. თბილისში სასანიტარო გადასახადის აკრეფისა, 3) ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწესთან ქუთაისში არქივის გახსნისა და შტატისა. შემოსულია აგრეთვე პროექტი საქალაქო დებულებისა და სხვა ყურადსაღები კითხვებიც. საფუთო გადასახადის დაწესება პრინციპიალურად მიღებულია კიდეც შემდეგ საფუძვლებზე: ა) საფუთო გადასახადი მხოლოდ ისეთ საქონელს დაედება, რომელიც რკინის გზით შედის და გამოდის, ბ) საფუთო გადასახადის აკრეფის უფლება ეძლევად მხოლოდ ქალაქებს, გ) ერობებს ასეთი უფლება არ მიენიჭება. მაგრამ ერთი მესამედი ნაწილი იმ შემოსავლისა, რომელიც ამა თუ იმ ქალაქში შეგროვდება, გადარიცხულ იქნება სათანადო ერობის კასაში. თვით კანონ-პროექტი დღეს იქნება შემუშავებული და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის განხილვის შემდეგ წარედგინება დამფუძნებელი კრების მახლობელ სხდომას დასამტკიცებლად.

დღესვე შესდგება შემდეგი კომისიების სხდომები: სამხედრო კომისიისა დილის 9 საათ., სახალხო განმრთელობისა ნაშუადღევის 1 საათ., საბიუჯეტო-საფინანსო კომისიისა 1 საათ. და საკონსტიტუციო კომისიის საღამოს 7 საათზე.

ხვალ საღამოს 7 საათზე შესდგება სხდომა: გზათა და სახალხო განათლების კომისიებისა.

შერვაშიძე და დენიკინი

ბაქოს გაზეთ „ედინაია როსიაში" დაბეჭდილია შემდეგი: „ეკატერინოდარში„ მყოფმა აფხაზმა ალექსანდრე შერვაშიძემ გენერალ დენიკინს შემდეგი თხოვნით მიმართა:

„ამ წლის იანვრიდან აფხაზებმა მრავალჯერ მოგმართეს თხოვნით დახმარება აღმოგეჩინათ მათთვის და აფხაზეთის საზღვრებიდან გაგეყვანათ საქართველოს ჯარი, რომელიც თავის მთავრობის წაქეზებით მცხოვრებლებს დიდ გაჭირვებაში აგდებს და ავიწროებს თქვენ ამის გამო ინებეთ და მიმართეთ ინგლისის სარდლობას, მაგრამ ამას ჩემთვისა და აფხაზეთის ხალხისთვის არავითარი სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

ეხლა როდესაც საქართველოს ბოლშევიზმი ედება და როცა მთელი ტერიტორია, საცა კი საქართველოს ჯარი და მთავრობა განაგებს, იმყოფება სამოქალაქო ომისა და სრული განადგურების უფსკრულის პირს, მოგმართავთ თქვენ, როგორც დიდი რუსეთის წარმომადგენელს, სამხრეთში და რუსეთის შეიარაღებულ ძალების სარდალს, და მოგიწოდებთ იხსნათ რუსეთის ერთგული და დაღუპვის კარზე მიყვანილი აფხაზეთის ხალხი ანარქიისა და მონობისაგან. შემოიყვანეთ თქვენი ჯარი აფხაზეთში და დაამყარეთ იქ მშვიდობა და წესიერებაო".

პრესა

ქუთათურ გაზეთ „ჩვენ ქვეყანაში" ტრიფონ ჯაფარიძე ეხება ჩვენს პოლიტიკურ მდგომარეობას და შემდეგსა ჰწერს:

„მოკავშირეთა ძალით ზურგ გამაგრებული კოლჩაკ-დენიკინი მართალია რუსეთში ბოლშევიზმს ებრძვიან. მაგრამ შიდა რუსეთს გარეთ უწინდელ კაციჭამია პოლიტიკას ეტანებიან, ბაქოსა და ბათუმისკენ მადა გახსნილი იყურებიან. ამას წინათ ბაქოში ბიჩერახოვი ატყუებდა ტომსონს, რომ თბილისში ბოლშევიზმია მოსასპობიო და დღეს დენიკინი ატყუებს მათ წარმომადგენელს.

აი ასეთი ანკესი არის გადაგდებული ბნელი რუსეთის წარმომადგენელისაგან და ვინ იცის, რომ ცარიელი დარჩება და ზედ ევროპის დიპლომატიც არ დაეცმის.

თვით პროვოკაცია ხომ ჩამომავლობით რუსია.

როგორ გზას უნდა დავადგეთ ჩვენ, რა პოზიცია უნდა ეკავოს ჩვენ მთავრობას და რა საშუალება უნდა ვიხმაროთ რომ ბნელმა რუსეთმა ევროპის დახმარებით არ მოგვსპოს?

ასეთ არეულ მდგომარეობაში, ერთი რამ უდავო და ეშმარიტია —ეს ის, რომ **რუსეთის გამდიდრება და ამიერ-კავკასიაზე გაბატონება არც ერთ სახელმწიფოს არ სურს.** თუ ეს შემთხვევით არ მოხდება, განზრახ ამას არც ერთი სახელმწიფო ხელს არ შეუწყობს და ეი სწორეთ ამ გარემოებით უნდა ვისარგებლოთ ჩვენ, ამ დებულებას უნდა დაეყრდნოს ჩვენი მთავრობა. ბოლშევიზმის საწინააღმდეგო ომი, ბოლშევიზმისაკენ მიმართული ყუმბარა ჩვენ ვერ დაგვაქცევს, თუ საქმის გამორკვევა შეგვძელით; პირიქით ჩვენ ყველაფერი მოკავშირე სახელმწიფოთა საშუალებით მოვაწყოთ, რომ შეიღლუდული იქნეს ბნელი რუსეთის წარმომადგენელთა სურვილები, მით უმეტეს რომ თვით კოლჩაკისა და დენიკინის დღევანდელი მდგომარეობა შემთხვევითია, მათი გაძლიერება დროებითია, მათი ნიადაგი სუსტია და დღეს თუ ხვალ ისევ შიდა რუსეთში დაბუგებული მათი საწინააღმდეგო ძალა ხელახლა ამობეთქს და მათ ისევ შინაურ ცეცხლში გახვევს. მთლიანი რუსეთი, ერთი რუსეთი, მთელი რუსეთი—ეს ისეთი ოცნებაა, რომელიც ჯერ განსახიერებას ვერ ეღირსება. და თუ ეღირსა—ყოველ შემთხვევაში კოლჩაკ-დენიკინის სახით არ წარდგება ქვეყნის წინაშე. რაც იქ კულტურას დაუთესია ასე უცბათ არ მოისპობა და ბარბაროსული რუსეთი მუდამ ასეთათ არ დარჩება.

ჩვენი მთავრობა უნდა ეცადოს, რომ ამ დროებითი და შემთხვევითი შექმნილი გარემოების მსხვერპლი არ შევიქნეთ. თუ ქვეყანას ჩვენი სახე სისწორით ვაჩვენეთ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჩვენ ჯალათობას რუსეთს არავინ შეახვედრებს".

ქრონიკა

ლუარსაბ ბოცვაძის გარდაცვალება. გუშინ. 24 თიბათვე ნაშუადღევის 1-ლ საათზე თბილისში **გარდაიცვალა ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ეურნალ „განათლება"ს რედაქტორი ლუარსაბ ბოცვაძე.**

საურთიერთო ბიურო. 23 ივნისიდან თბილისში დაარსდა და მოქმედება დაიწყო საურთიერთო ბიუროომ, რომლის დანიშნულებაა თბილისში მყოფ უცხო სახელმწიფოთა მისიებთან დამოკიდებულება იქონიოს. აგრეთვე მიიწოდოს უცხოელ დაინტერესებულ პირებს ყოველგვარი ცნობები საქართველოს შესახებ, დაეხმაროს ყველა მას ვინც მოინდომებს ევროპის სახელმწიფოებთან რაიმე დამოკიდებულება.

მალულად საქონლის შემოტანა. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ყურადღება მიაქცია, რომ საქართველოში დიდძალი საქონელი შემოდის კოტრაბანდათ. ხსენებულმა სამინისტრომ სთხოვა გზათა სამინისტროს რათა უკანასკნელმა მიიღოს ზომები. რკინის გზაზე კოტრაბანდათ არ შამოდიოდეს საქონელი.

გზათა სამინისტრომ თავისთავად მიმართა აზერბეიჯანის მთავრობას, რათა მათაც მიაქციონ ყურადღება ამ მდგომარეობას. და მიიღონ ზომები რათა ბაქოდან არ გამოდიოდეს კონტრაბანდათ საქონელი.

სპეკულიანტთა დატუსაღება. 200 კაციდან, რომელნიც ქალაქის მილიციამ დააპატიმრა თავისუფლების მოედანზე შაბათს 120 გაანთავისუფლა, ხოლო საბოლოოდ დაატუსაღა 40 კაცი, რომელნიც საგანგებო რაზმის უფროსს გადასცა.

პენსიების დანიშვნა. შრომის სამინისტროსთან არსებულმა მუშათა დამზღვევმა კომისიამ პენსია დაუნიშნა სხვა და სხვა სამრეწველო დაწესებულებებში მომუშავეთ.

დონდოლაძის განთავისუფლება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განთავისუფლა მღვდელი დონდოლაძე, რომელსაც შემოქმედის მონასტრის გაძარცვაში მონაწილეობა ბრალდებოდა.

შრომის ბირჟა. შრომის ბირჟაში მაისის დამლევამდე ჩაწერილა სულ 1010 უმუშევარი, რომელთაგანაც 813 მამაკაცია 197 კი დედაკაცი.

ბაქო ჯულფის რკინის გზის მიწები. ჯულფა ბაქოს რკინის გზის მართველობამ, რომელმაც შუამდგომლობა აღძრა მის უბანში მყოფი მიწები აეწერათ და მის განკარგულებაში გადაეცათ ხელახალი შუამდგომლობა აღძრა საქარ. რესპუბლიკის გზათა-სამინისტროს წინაშე რათა ყველა გეგმები და ცნობები ამ მიწების შესახებ რომელიც კი სამინისტროს შოპოება გადასცენ მათ.

ლექციები ჯარში. სამხედრო სამინისტროს კულტურულ განმანათლებელი სექცია აწყობს ლექციებს შემდეგ ნაწილებში: 23 თიბათვეს წაიკითხავს პოლკოვნიკი ლ. ცაგარელი „რევოლიუციის წინასწინაპირო ჯარის შტაბში"; 24 თიბათვეს ს. გაჩეჩილაძე საყარაულო გუნდში „საქ. ისტორიიდან"; 25 თიბათვეს კაპ. ალ. გორგაძე „საქ. გეოგრაფიიდან" სანაპირო ჯარში; 26 თიბათვეს სტორეოლიანი „პატიოტიზმი" მე-5 რაზმში.

დახვრეტის მაგალითები.

როსტომოვის დახვრეტა. 23 იენისს ნაშუადამევის 3 ნახ. საათზე საგუბერნიო 1 № ციხის ეზოში ციხის ინსპექტორის ყიფიანის თანდასწრებით, დახვრიტეს დავით წერეთლის მკვლელი ყოფილი გვარდიელი როსტომოვი.

ნონიკაშვილის დახვრეტა. 23 ივნისს ნაშუადამევის 3 ნახ. საათზე სგბუბერნიო 1 № ციხის ეზოში ციხის უფროსის ყიფიანის თანდასწრებით დახვრიტეს ნონიკაშვილი, რომელსაც სხვა და სხვა ბოროტ მოქმედებანი ბრალდებოდა.

ნაკაიძისა და მიქაბერიძის დახვრეტა. ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორი იუსტიციის სამინისტროს ატყობინებს, რომ ამ დღეებში ოზურგეთში დახვრიტეს კონს. ნაკაიძე და მიქაბერიძე, რომელთაც ოზურგეთის ფოსტაზე თავდასხმა ბრალდებოდათ.

საბავშო თეატრი. მესხეთ-ჯავახეთის დღის მიზეზით გადადებული „საბავშვო თეატრი"-ს პირველი საცდელი წარმოდგენა გაიმართება ქართულ კლუბში ხუთშაბათს, საღამოს სწორედ 5 საათიდან.

სხვა და სხვა ამბები.

მკვლელობა. 23 ივნისს ლაზარეევის ქუჩაზე 65 № სახლში (სასადილოში). ლევან ხუციშვილს გაუვარდა ვინტოვკა და მოჰკლა იქ მყოფი ლტოლვილი.

მარცხი. 23 ივნისს საღამოს 8 საათზე მოწაფე გაია აგიანცმა მილიციას განუცხადა, რომ მან მატოციკლეტით შემთხვევით გადაუარა 5 წლის ბავშვს, და დაეშავა. ბავშვი მან, თავად მიიყვანა არამიანცის საავადმყოფოში.

საშინლად დამწუხრებულნი დები უმორჩილესად სთხოვენ თუ ვისმეს მოეპოვება რაიმე ცნობა ხარკოვის სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტის გიორგი ილარიონის ძის ტრანკაშვილისა ამ მისამართით: 1 კომისარ. 2 კირპიჩნი ტუპ. № 5 სახ. ხაჩატურ. მარიამ **ტრანკაშვილისა.**

პარტიული ცხოვრება

დღეს, ხუთშაბათს, 26 თიბათვეს, საღამოს 7 საათზე, სამეურნეო საზოგადოების დარბაზში („ქართული კლუბის" პირდაპირ) დანიშნულია კრება საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქ. თბილისის მე-2 რაიონში (მე 2, 3, 4 სამილიციო უბნებში) მცხოვრებ წევრებისა.

დღის წესრიგია:

1) **იახ. ჯავახიშვილის** მოხსენება 2) მორიგი საკითხები.

ახალგაზდათა კომიტეტი.

დღეს, ოთხშაბათს თიბათვის 25-ს გაზ. „საქართველოს" რედაქციაში, საღამოს 7 საათზე ახლად არეულ ეროვნულ-დემოკრატ ახალგაზდათა პირველი კრება სხედგება. დასწრება სავალდებულოა კანდიდატებისათვისაც.

პროვინციის ცხოვრება

(საკუთარ კორესპონდენტებისაგან)

ქ. ახალციხე.

ქართულ საქველმოქმედო სიზოგადოების ატყობინებენ ახალციხიდან რომ, 20 ივნისს ახალციხის ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილებამ აღადგინა ობოლ-ბავშვთა თავშესაფარი რომელიც დაკეტილი იყო ოსმალთა შემოსევის დროიდან. თავშესაფარის გახსნას დაესწრენ: მთავრობის საგანგეო რწმუნებული გიორგაძე, დამფუძნებელ კრ. წევრი რუხაძე, ლტოლვილთ- ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარე ჩიკვაიძე, საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებული ვეშაპელი.

თავშესაფარი გახსნილია 50 ბავშისათვის. განზრახულია აგრეთვე სახელოსნო სკოლის მოწყობაც.

იმერეთი

ქუთაისის ახლო მახლო სოფლებიდან იტყობინებიან, რომ გამუდმებულმა წვიმებმა ნათესი და ვენახები წაახდინა.

გურია

დიდმა ავდრებმა მოსავალი ამოალპო, ხოლო ადიდებულმა რიონმა ჭირნახული მთლად წაჭლეკა.

ქ. ზესტაფონი

ამ დღეებში ახალგაზდა მწერალი რაჟდენ გვეტაძე ლიტერატურულ საღამოს ჰმართავს

ს. მცხეთა

არმაზის მინასტრის მღვდელ-მონაზონის მირიანის და მორჩილ „გაგას" მკვლელები აღმოაჩინეს. ყველანი ადგილობრივი მცხოვრებნი არიან. მათგან ერთი ლტოლვილი სომეხია. ამას წინედ ვწერდით, რომ მღვდელ-მონაზონი მირიანი უკვალოდ არის დაკარგული. ახლა მკვლელებს აპოვნინეს: თავის ქალა და დაწნული თმა. დანარჩენი ნაფლეთ შეუპამია. ბოროტ-გამზრახველებს ყოველივე ნივთიული: ხატები, ჯვრები და ოქროული მცხეთაში ჩამოეტანათ და ჩალის ფასად გაეყიდათ. რომელმა ყველანი შეიპყრო და თვითგასამართლებას უპირობს.

ს. ლაგოდეხი

ჩამოვიდა პირველი რიგი ალაგირის ქართველი ლტოლვილებისა, რომელნიც მოკლე ხანში საცხოვრებელ ადგილების ამორჩევას შეუდგებიან.

ს. პატარძეული

სოფელში პურის შოვნა გაჭირდა. ხალხი სამინდის ფქვილით იკვებავს ძლივ თავს.

ს. მანავი

ჭირნახულს კარგი პირი უჩანს მალე პურები გაიჭრება.

ს. ში[illegible]და

კურდღელაურისა და ჭილდის არემარეში ყაჩაღთა ბრბოები თარეშობენ.

მთავრობის ცნობები

19 ივნისის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

მილიციის სარეგიზიო კომისიის წევრთათვის.

გადაიდოს 8,000 მან. 10 მილ. ფონდიდან ქ. თბილისის მილიციის სარეგზიო კომისიის წევრთა ჯილდოთათვის.

ინჟ. ფონდოევის საქმე.

ინჟ. ფონდოევის თხოვნა მისი ქონების ხელუხლებლობის შესახებ, დატოვებულ იქმნას განუხილავად სასამართლოს მიერ საქმის საბოლოოდ გადაწყვეტამდე.

სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარჯთაღრიცხვის პროექტი (1919 წ. 1 ივნისიდან) და 1 ივნვრიდან ა. წ. 1 ივნისამდე პირადი შემადგენლობის დამტკიცებითი ჯამაგირების მისაღებად. 172,635 მან. გადიდების შესახებ მოწონებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

ვაგონი რუს მასწავლებლებს.

თანახმად მათი თხოვნისა დაეთმოს რუს მასწავლებელთა ყრილობის წარმომადგენელთ ბათუმამდე 1 მეოთხე კლასის ვაგონი.

ერობათა მიერ სურსათის გადატან-გადმოტანა.

აეკრძალოთ ერობათ გამოიტანონ განსაკუთრებული დადგენილებანი სურსათის გადატან-გადმოტანის შესახებ.

ბათუმ-ნატანების რკინის გზისათვის.

მოხსენება გზათა დეპარტამენტისა ნატანებ-ბათომის რკინის გზის საჭიროებისათვის 150,000 მან. კრედიტის გადადების შესახებ მოწონებული იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

თამბაქოს დამზადების შესახებ.

დამზადებულ იქმნას 30,000 ფ. თამბაქო, აქედან 17,000 ფუთი ინგლისიდან უკვე მოსულ შაბიბანისა და გოგირდის ფასის ასანაზღაურებლად. და 13,000 ფუთი კი იმ საქონლის ფასის ასანაზღაურებლად, რომელიც გამოგზავნილია საქ. მთავრობის სახელზე და გზაში იმყოფება.

—

გადაიდოს ცენტრალურ სასურსათო საბჭოს განკარგულებაში თამბაქოს დასამზადებლად 2 მილიონი მანეთი 20-მილიონ. ფონდიდან.

სახელ. ყველა დაწესებულებათა კოოპერატივების გაერთიანების შესახებ

1) წინადადება მიეცეს სახელმწიფოს ყველა დაწესებულებათა კოოპერატივებს, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედროს, მათ შორის ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებასაც, შეკავშირდნენ და შეადგინონ ერთი კოოპერატივი, იმ პირობით, რომ ყველა დაწესებულებათა მოსამსახურენი ითვლებოდნენ წევრებათ.

2) დაარსდეს კომისია ფინანსთა, შრომის და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელთაგან, რომელიც გამოარკვევს რა სახის მონაწილეობა მიიღოს და როგორი კონტროლი გასწიოს მთავრობამ ხსენებულ კოოპერატივში.

2) ამ კონტროლის დებულების თანახმად შემუშავებულ იქმნას დეკრეტი 4.000,000 მან. გაცემის შესახებ კოოპერატივთა სავაჭრო თანხებისათვის.

საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა

ალ. ასათიანის ჰიტყვა დამფუძნებელს კრებაში.

ბატონებო, დამფუძნებელ კრების წევრნო! დეკრეტს რომელიც მოითხოვს მთავრობისთვის 20 მილიონის გადაცემას საქონლის გაცვლის მოსაგვარებლად, უცნაური ბედი აქვს. არაჩვეულებრივი იყო ამ დეკრეტის წარმოშობის ისტორია. ეს ერთად-ერთი საკანონმდებლო წინადადება არის, რომელიც გამომდინარეობს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიიდან. ამ კომისიის ინიციატივით უნდა აღინიშნოს ის, რომ თვით ამ დეკრეტის შემუშავების ფორმა და წესი არ შეეფერება სრულიად იმ მნიშვნელობას, რომელიც აქვს ამ დეკრეტის აღძრულ საგანს. და საზოგადოთ, ის არ შეეფერება საკანონმდებლო მუშაობის წესს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, რასაკვირველი, უდიდესი საკითხები აქვს გადასაჭრელი, თითქმის ყველა საკითხი რომელიც კი დამფუძნებელ კრებაში გადის ამ კომისიაში უნდა იქმნეს განხილული. ამიტომ ის ფრიად დატვირთული არის მუშაობით და საკუთარი ინიციატივისთვის, საკუთარ საკანონმდებლო ცდისათვის მას ძალიან ცოტა დრო აქვს, მაგრამ თუ კი მას მიენიჭა საშუალება რომ საკუთარი რამ წინადადება შემოიტანოს დამფუძნებელ კრებაში, საჭირო არის რომ ეს წინადადება უფრო კარგად იყოს შემუშავებული და აი ამ სახით არ ხდებოდეს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში ეს დეკრეტი ექსპრომტათ წარმოიშვა, ასე ვსთქვათ ბლოკნოტზე დაიწერა. სხდომა იმას არ უსწრობდა, კომისიაში წინასწარ აზრთა გაცვლა-გამოცვლა არ იყო, არც ამ საკითხის დაყენება. მე საშუალება არ მქონდა იმ კრებაზე პირადად დავსწრებულიყავი, ერთს სხდომაზე დეკრეტი კიდეც დაიწერა და კიდეც მიღებულ იქმნა. შემდეგ ეს დეკრეტი პირდაპირ შემოვიდა აქ, დღიურ წესრიგში. აქ გამოირკვა, რომ ის ფრაქციებს არ განუხილავთ. ამიტომ მართველმა ფრაქციამ მოითხოვა, რომ ეს დეკრეტი მოეხსნათ დღიურ წესრიგიდან. შემდეგ ფრაქციებში გადავიდა. აქ უკვე აღმოჩნდა, რომ არამც თუ ფრაქციებს არ მოხსენებიათ, არამედ, თვით მთავრობას ამის შესახებ არაფერი არ სცოდნია. დამფუძნებელი კრება მოწვეული იყო ამ დეკრეტით, რომ მას მიეცა მთავრობისათვის 20 მილიონი მანეთი. მთავრობამ არ იცოდა, რისთვის აძლევდენ მას დამფუძნებელი კრება 20 მილიონ მანეთს და დამფუძნებელმა კრებამ, რასაკვირველია არ იცოდა თანახმა ყოფილ თუ არა მთავრობა ამ 20 მილიონ მანეთის მიღებისა. მეორედ მოიხსნა ეს დეკრეტი აი სწორედ იმ მიზეზიდ რომ მთავრობას განეხილა და მიეღო ან და უარი ეთქვა ეხლა, უკვე მესამედ, ჩვენ დღიურ წესრიგში ვხედავთ ამ დეკრეტს, და ბოლოს, როგორც არის, შეუდგებით ამ კანონ-პროექტის არსებითად განხილვას. მე ვფიქრობ, ბატონებო, ასეთი წესი მუშაობისა, სრულიად არ შეეფერება საკანონმდებლო დაწესებულების მუშაობის ხასიათს და მომავალში მას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ჩვენ უთუოდ მოგვიხდება მომავალში შექმნა სპეციალურ კომისიისა, რომელიც საერთო ხასიათის მთავარ ეკონომიურ საკითხებს შეეხება: სახელმწიფო მეურნეობას, სახელმწიფო ქონების, ექსპლოატაციას, და სახალხო მეურნეობის სხვა და სხვა კითხვებს, ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორც არის საშინაო და საგარეო ვაჭრობისა, და სასურსათო პოლიტიკა და სხვ. ასეთი კომისიის დაარსების შესახებ მე შემომაქვს წინადადება დამფუძნებელს კრებაში და თუ ის მიღებულ იქმნა, რესპუბლიკის ეკონომიურ ცხოვრებას მნიშვნელოვან კითხვებს განსახილველად უფრო შესაფერისი პირობები იქმნება შექმნილი. მაშინ, მე ვფიქრობ არ იქნება ასე ნაჩქარევათ შემუშავება ფრიად მნიშვნელოვან ეკონომიურ საკითხებისა. აი ამის შემდგომ მე მოკლედ შევეხები ამ დეკრეტს.

უნდა მოგახსენოთ რომ დეკრეტი ფრიად მნიშვნელოვ ნ საკითხს ეხება და თუ მთავრობა კისრულობს აი ამ საკითხის მოგვარებას, 20 მილიონი მანეთი, მიუხედავათ ჩვენი ფინანსიურ გასაჭირისა, ჩვენ უნდა გავიღოთ.

საგარეო ვაჭრობის მოგვარებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საერთო ეკონომიურ მდგომარეობისა-თვის. ეკონომიურ მდგომარეობა-ზე ეკონომიურ ბოროტ-ყოფა-ზე. წორებისათვის და თვით ჩვენი ფულის საშინელი კრიზისის განელებისათვის.

თუ წინად, ნორმალურ პირობებში, როდესაც ჩვეულებრივი კანონები მოქმედობდნენ, საერთაშორისო ვაჭრობაში და ეკონომიურ ცხოვრებაში, საგარეო ვაჭრობის პოლიტიკას ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ეხლა მით უფრო დიდი არის ამ საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის მნიშვნელობა, ვინაიდგან განსაკუთრებული პირობებში იმყოფება არა მარტო საქართველოსი, არამედ თითქმის ყველა დიდი და პატარა ქვეყნის საგარეო ვაჭრობა. ჩვენ ვხედავთ, მსოფლიო ომის დროს ყველა ქვეყნის გარშემო აღიმართა ერთგვარი კედლები, რომელნიც ხელს უშლიან მათ შორის სწორე და ნორმალურ აღებ-მიცემობას და საქონლის გაცვლას. ჩვენ ვხედავთ, რომ აი ამ ომის დროს, ყველა სახელმწიფო ერთ-გვარ კუნძულს წარმოადგენდა ტ ყველა[illegible]ცდილობდა თავის ფარგლებში თითონვე დაეკმაყოფილებინა ყოველივე საჭიროება ეკონომიურ ხასიათისა, და ყველა საგნები და ყოველგვარი საქონელი, რაც უცილებელი იყო ამ ქვეყნისთვის, თვით თავის სახელმწიფო ფარგლებში წარმოეშვა და მით, რაც შეიძლება შეემცირებინა თავის ქვეყნის უცხო სახელმწიფოებისაგან დამოკიდებულება. ჩვენ ვხედავთ, რომ მიუხედავათ იმისა, რომ ომი თითქმის გათავდა, ყოველ შემთხვევაში მიუახლოვდა თავის დასასრულ, ასეთი მდგომარეობა მაინც გრძელდება. ჩვენ ეხლაც თითქმის საკუთარი ვართ საერთაშორისო ბაზარს და არ გვაქვს საშუალება წესიერი გაცვლა-გამოცვლა ვაწარმოვოთ, ჩვენი ღირებულება გავიტანოთ და შემოვიტანოთ იმის სამაგიერო ჩვენთვის საჭირო უცხო ქვეყნების ნაწარმოები, ამიტომ აუღრესი მნიშვნელობა აქვს საგარეო ვაჭრობაში დღევანდელ მდგომარეობის შესაფერისი პოლიტიკის შემუშავებას.

თქვენ მოგეხსენებათ, რომ ჩვენ შევქმენით ერთგვაარი სისტემა საგარეო ვაჭრობისა რომელიც ხასიათდება იმით, რომ, როდესაც ჩვენი ქვეყნიდან გაიტანენ რეალური ღირებულების საქონელს, სამაგიეროთ რეალური ღირებულების საქონლის შემოტანას მოვითხოვთ. ამ საფუძველზე აშენდება საქონლის გაცვლის პოლიტიკა ჩვენში. ამისთვის სპეციალური ორგანიზაცია იყო შექმნილი-საქონლის გაცვლის კომიტეტი. ეს ორგანიზაცია იყო ამ საქონლის გაცვლის რეგულიატორი, ერთგვარი საკონტროლო ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციის სტატისტიკური ცნობები გვარწმუნებენ, რომ ამ ორგანიზაციისათვის დასახული მიზანი მიღწეულია. გასული წლის მეორე ნახევარში ჩვენ გვქონდა გატანილი 87,5 მილ. მანეთის საქონელი და შემოტანილი კი 140,9 მილ. მანეთის. მაშასადამე ჩვენ ვხედავთ რომ ჩვენი სავაჭრო ბალანსი უაღრესად პასიური იყო და 53 მილიონი ზედმეტად შემოზიდული საქონელი ჩვენ დავფარეთ ჩვენი ბონებით, და იმ რუსულ ფულით, რომელიც იყო აქ დარჩენილი. ასეთი გარემოება, რასაკვირველია ხელს უწყობს უცხო ვალიუტისა და მათ შორის რუსული ფულის საოცრად გაძვირებას; მიუხედავათ იმისა, რომ რუსულ ფულს, რომელსაც ბოლშევიკები გაცილებით ჩვენზე უფრო უზომოდ უშვებენ, ჩვენს ფულზე მეტი რეალური ღირებულობა არ აქვს.

საგარეო ვაჭრობის პირობები მოითხოვს, რომ საქონლის გაცვლის პოლიტიკა შეცვლილი იქმნას. უკეთ რომ ვთქვათ, შევსებული.

სრულებით არ არის საკმარისი, რომ გაზიდულს საქონელში ჩვენ მივიღოთ სამაგიერო რეალური ღირებულობა' უაღრესი მნიშვნელობა აქვს იმას თუ რა ფასში, რა პირობებში მიდის ჩვენგან ეს ღირებულება საქონლისა და რა ფასში მოდის უცხოეთიდან საქონელი, არის თუ არა მათ შორის დაცული ერთგვარი სისწორე. საჭიროა რომ საგარეო საქონელი იყოს დაახლოვებით იმავე რეალური ღირებულებისა, რომელიც აქვს ჩვენგან გატანილ საქონელს.

ამას უნდა მიექცეს მთავრობის ყურადღება და ამ პრინციპზე უნდა იყოს აშენებული მომავალში ჩვენი სავაჭრო პოლიტიკა. ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა ის ნაწარმოები, რომელიც ჩვენ მოგვეპოება უცხოეთში გასატანად, მაგალითად მარგანეცი, თამბაქო, მატყლი და სხ. ყველა ეს საქონელი ჩვენში მეტად ფასდაცემულია. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ოთხი წლის განმავლობაში მათთვის ბაზარი დახშული იყო და უცხოეთში არ გაიტანებოდა. ცხადია, როდესაც საქონელი უცხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზრისათვის მზადდება და უცხოეთში არ იზიდება, შისი ფასი ეცემა.

ჩვენი საგარეო ვაჭრობის უდიდეს ობიექტს წარმოადგენს თამბაქო, რომელიც ჩვენ თითქმის მილიონი ფუთი გვაქს, აი ამ თამბაქოს ფასი ოქროზე იყო საშუალოდ 20 მან. ფუთზე ზოგი სორტი ფასობდა მეტს, ზოგი ნაკლებს. ეხლა რომ აიღოთ მისი ფასი რეალური ღირებულებით, სამჯერ ოთხჯერ ამაზე ნაკლებია. მაშასადამე უცხოელს საშუალება ეძლევა ჩვენი ეს საქონელი უაღრესად დაცემულ ფასებში მესამედ ფასად შეიძინოს. სამაგიეროთ საქონელს ვღებულობთ უცხოეთიდგან, ამ საქონლის ფასები ასევე ოთხჯერ და ხუთჯერ არის გადიდებული, ოქროს ღირებულებით რომ ვიანგარიშოთ თუ ასეთი სისტემით გაგრძელდა საგარეო ვაჭრობის წარმოება, თუ ჩვენს საქონელს გავიტანთ დაახლოვებით ადგილობრივ ფასების მიხედვით და უცხო საქონელს შემოვიტანთ იქაურს ფასებში, ეს იმას მოასწავებს, რომ ჩვენი სიმდიდრე უცხო სახელმწიფოების ხელში გადავა სრულიად მუქთად. ეს მოასწავებს ჩვენი ქვეყნის რეალური ღირებულების და სიმდიდრის გაცარცვას, და ჩვენი ქვეყნის გაღატაკებას. მაშასადამე, არ არის საკმარისი ის წესი, რომელიც აქამდის იყო, სიპირო ამ სისტემის შევსება, ისე, რომ რამოდენიმეთ მაინც უზრუნველყოფილი იყოს შემოზიდულ და გაზიდულ საქონლის ფასების თანასწორობა. არ უნდა იყოს ისე, რომ ჩვენი საქონელი დაცემულ ფასებში იცვლებოდეს და სხვისი კი უაღრესად სპეკულიატურ ფასად შემოდიოდეს. ამ შემთხვევაში მისაღები და საშუალო პრინციპი იქნება, რომ ჩვენ უცხოეთის საქონელს მივიღებთ ძველს ფასებში და ჩვენს საქონელსაც მივცემთ ძველს ფასებში.

რასაკვირველია, უფრო იდეალური იქნება, რომ ჩვენი საქონელი თავისუფლად გავიტანოთ უცხო ბაზარზე, გავყიდოთ იქაური ფასებში, იქ ვიყიდოთ იქაური საქონელი იქაურ ფასებში და შემოვიტანოთ. ეს ჩვენთვის უფრო სასარგებლო იქნება. მაშინ ჩვენ საქონელს ვყიდით აწეულს ფასებში და სამაგიეროთ იქ საქონელს ვყიდულობთ იქ არსებულს ფასებში. ასეთი გაცვლა ისევე არის ჩვენთვის სასარგებლო, როგორც საზიანოა მეორე უკიდურესობა, როდესაც უცხოელებს ჩვენში შემოაქვთ თავისი საქონელი, მას ფრიად მაღალს ფასებში გვაძლევენ და სამაგიეროდ ჩვენგან იძენენ ჩვენს საქონელს ფრიად დაცემულს ფასებში. ყოველს შემთხვევაში უნდა შევეცადოთ, რომ საშუალო ხაზი მაინც დავიცვათ.

ამისთვის მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმ გარემოებას, რომ ჩვენ არ ვიყოთ ასე გარემოცულნი ყოველ მხრივ, არ ვიყოთ იმ მდგომარეობაში, რომელშიაც იძულებულნი ვიქნებით ყოველ-გვარ ფასში მივცეთ ჩვენი საქონელი უცხოელებს.

მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები, რომ შეძლების-დაგვარად გადალახოს ჩვენი ბაზრისთვის ის სიძნელე, რომელიც მის წინ არის აღმართული. რასაკვირველია აქ არის პოლიტიკური ხასიათის სიძნელენი. მაგრამ არის აგრეთვე სხვა გვარიც.

ჩვენ არ გვაქვს საშუალება რომ ჩვენვე გავიტანოთ უცხო ბაზარზე ჩვენი საქონელი. ზღვა გვაქვს, მაგრამ არ გვაქვს გადასატანი საშუალება, არ გვაქვს სავაჭრო გემები, რომლითაც ჩვენ შეგვეძლოს ჩვენი საქონელი გავიტანოთ, და თუ გაგრძელდა ჩვენი ასეთი დამოკიდებულობა უცხო ტონაჟზე, რასაკვირველია, ჩვენ სრულიად შებოჭილი დავრჩებით და ვერავითარ თავისუფალს საგარეო პოლიტიკას ვერ გაწარმოებთ.

მთავრობას შესწევს ძალა და თუ სათანადო მეცადინეობას არ დაიკლებს, რამდენიმე ხომალდის შეძენას მოახერხებს, ჩვენ აუცილებლივ უნდა გავიჩინოთ ერთგვარი მინიმუმი გადასაზიდი საშუალებისა და როდესაც ჩვენ არ ვიქნებით უცხო ბაზარზე სრულიად მოწყვეტილი და გვექნება საშუალება მას რამოდენიმედ მაინც დაუახლოვდეთ, დღევანდელი ჩვენი საგარეო ვაჭრობის ფრიად სახიფათო და ჩვენთვის საზიანო პირობები საგრძნობლივ განელდება.

ამიტომ, რასაკვირველია, ჩვენ უნდა მივიღოთ მთავრობის წინადადება და მის განკარგულებაში საჭირო თანხა გადავდოთ, მხოლოდ საჭირო არის ამ ფულის მიღებასთან ერთად შემუშავებული იყოს სათანადო გეგმა, სათანადო სისტემა ამ საქონლის გაცვლა-გამოცვლის მოსდენისა. მიღებულ უნდა იქმნას მხედველობაში ყველა ის პირობები, რომელიც ახასიათებს დღევანდელს ჩვენს ეკონომიურს მდგომარეობას.

როდესაც მსოფლიო ვაჭრობა ასე არის არეულ დარეული და ის ძაფები, ის შემაკავშირებელი ჯაჭვები, რომელნიც გაბმული იყო ხალხთა შორის დაწყვეტილია, რასაკვირველია ჩვენი სუსტი ვაჭარ-მრეწველთა კლასი მხოლოდ საკუთარი ძალით ვერ შესძლებს ამ სიბნელეთა დაძლევას და ქვეყნისთვის სასარგებლო სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას. აქ აუცილებელია მთავრობის არსებითი დახმარება.

ამიტომ სავსებით ვემხრობით, რომ მთავრობის განკარგულებანი გადაიდოს განსაკუთრებული თანხა, ამ საგარეო ვაჭრობის მოსაგვარებლად, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მთავრობა სათანადო ყურადღებას მიაქცევს და შეეცდება მის მოწესრიგებას. ჩვენ უნდა მივაქციოთ მთავრობის ყურადღება იმ გარემოებას, რომელსაც ამ შემთხვევაში, ამ საგარეო ვაჭრობის მოწყობის დროს, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. დიდი ანგარიში უნდა გაეწიოს ჩვენი ქვეყნის მრეწველობას, წარმოებათა სხვა და სხვა დარგის საჭიროებებს. უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჩვენი ჰიათურის ნაწარმოები და მეთამბაქოების ნაწარმოები წესიერ ფასებში გასაღდეს და არა დღევანდელს დაცემულს ფასებში. ის ფასი, რომელიც არის თამბაქოზე სრულებით არ გამოხატავს თამბაქოს რეალურს ღირებულებას. როდესაც თვითოეულ ფუთ თამბაქოში წინად 17—18 ფუთი პურის ღირებულება ეძლეოდა მწარმოებელს. ეხლა ერთი ფუთი თამბაქო გაცილებით ნაკლები ღირს, ვიდრე ერთი ფუთი პური.

რასაკვირველია თუ თამბაქო ასეთ პირობებში გასაღდა, ამით რასაკვირველია მომავალში შემცირდება თამბაქოს კულტურა, ეს იქნება უაღრესი ეკონომიური ზარალი, და ზიანი ჩვენ ქვეყნისთვის. ამიტომ მთავრობამ ანგარიში უნდა გაუწიოს მდგომარეობას და მწარმოებელთ დახმარება აღმოუჩინოს მათი ნაწარმოების შესაფერ ფასების გასაღებაში. ისეთს საქონლის შესახებ, როგორც არის მარგანეცი, თამბაქო, მატყლი და სხ. მთავრობა თვითდნვე უნდა სცდილობდეს უცხო ქვეყნებთან ფასებში შერიგებას მან შეიძლება თვითონ ვერ შეძლოს ამ საქონლის გატანა, ხოლო მან დახმარება უნდა აღმოუჩინოს ჩვენს მწარმოებლებს, რომ მათ ბაზარს მიწვდენ და დაუახლოვდენ.

დეკრეტი ამბობს, რომ ეს 20 მილ. თანხის გამოყენების დროს, მთავრობას აქვს უფლება შეკრას პირობები დაწესებულებებთან და კერძო პირებთან. ეს მისაღები არის, და მთავრობა, რასაკვირველი ამ საქმეში უნდა შეუერიგდეს სათანადო ორგანიზაციებს—ვაჭარ-მრეწველთა ორგანიზაციებს, და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. მაგრამ, შემდეგ დეკრეტი ამბობს, რომ ხელშეკრულობის შემუშავების დროს მთავრობა უნდა შეუთანხმდეს საფინანსო კომისიას. საფინანსო კომისია აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ამ ხელშეკრულობის შეკვრაში. უნდა მოგახსენო, რომ ეს ჩემის აზრით, სრულიად არ შეეფერება საკანონმდებლო ორგანოს დანიშნულებას და სრულიად არ იქნება მიზანშეწონილი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მუხლი უნდა იქმნეს ამოშლილი. ეს სავსებით უნდა ეკისრებოდეს მთავრობას. რასაკვირველია, დამფუძნებელ კრებას, თოგორც უმაღლეს ორგანოს უფლება აქვს რომ ჩაერიოს მთავრობის ყველა მოქმედებაში. მაგრამ, ამ საშუალებას დამფუძნებელ კრების საფინანსო კომისია ასეც არ არის მოკლებული თუ საჭიროთ დაინახავს ის მთავრობას თავის რჩევას მისცემს. მაგრამ, შეუძლებელია, რომ საფინანსო კომისია იხილავდეს სხვა და სხვა ხელშეკრულობებს, შეუძლებელია იმიტომ, რომ ამისთვის საჭირო არის მუშაობის სულ სხვა წესი და სულ სხვა გვარი პასუხისმგებლობა. საკანონმდებლო მუშაობით დატვირთულმა კომისიამ რომ მთელი ხელშეკრულობების შემუშავება დაიწყოს, მრავალი შეცდომები და სიურპრიზები არის მოსალოდნელი. და მე არ ვფიქრობ საფინანსო კომისიის ყველა წევრებმა ასეთი პასუხისმგებლობა იკისრონ. ამიტომ ეს მუხლი უნდა ამოიშალოს და ხელშეკრულობები უნდა იხილებოდეს ისე, როგორც ეს ყოველგან მიღებულია.

დამფუძნებელი კრება

22 ივნისი საგანგებო სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

განსახილველია საქართველოს და აზერბაიჯანის შორის დადებული ხელშეკრულება. სხდომას დაესწრნენ აზერბაიჯანის და ჩეჩნების წარმომადგენელნი, რომლებსაც კრებამ ოვაციები გაუმართა. სხდომას დიდძალი გარეშე საზოგადოებაც დასწრო.

მომხსენებელი ს. მდივანი აღნიშნავს ხელშეკრულების დიად პოლიტიკურ და მორალურ მნიშვნელობას და მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ჩვენი მეზობელი ერი—სომხები არ ღებულობენ მონაწილეობას. მომხსენებელი განმარტავს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულებაში აღნიშნულია ის, რომ მეზობელ ხალხთა შორის ყოველგვარი უთანხმოება არბიტრაჟის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, ხელშეკრულებაში არის ერთი მუხლი, რომლის ძალით სომხეთს შეუძლია, თუ კი მოისურვებს—კავშირში შევიდეს.

საგარეო საქმეთა მინისტრი ეგგ. გეგეჭკორი ფაქტებით ამტკიცებს რომ საქართველოს მთავრობის მთავარი გეზი ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობისაკენ იყო მიმართული და ის ყოველგვარ ღონეს ხმარობდა ამ დიადი ლოზუნგის ცხორებაში გასატარებლად, რომ საერთო ძალით ამიერ-კავკასიის ფარგლებში შესაძლებელი ყოფილიყო ჩვენი დამოუკიდებლობის, ხელშეკრულობის დაცვა და თითეულ რეპუბლიკის ხალხის იმ ნიადაგზე დაყენება, რომელიც უზრუნველ ყოფს ძის კულტურულ და პოლიტიკურ განვითარებას. მაგრამ ამ განზრახვას ხელს უშლიდა მსოფლმხედველობათა და პოლიტიკათა სხვადასხვაობა ამიერ-კავკასიის ხალხთა ხელმძღვანელობისა. დღეს-დღეობით ორმა ხალხმა შეჰკრეს კავშირი. ხელშეკრულება, რომელიც თქვენს წინაშე არის წარმოდგენილი, მიმართულია იმათ წინააღმდეგ, ვინც მოისურვებს ამ ორ რესპუბლიკათა დემოკრატიის განადგურებას. ორატორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულებას სრულებით არა აქვს აგრესიული ხასიათი. ის მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ამ ხელშეკრულებაში დღეს-დღეობით მონაწილეობას არ იღებს ჩვენი მეზობელი რესპუბლიკა—სომხეთი, მაგრამ, ამბობს ორატორი, თუ კი სომხეთის ხელმძღვანელი ფსიხოლოგია გარდაიქმნა და მათ ისურვეს ხელშეკრულებაში მონაწილეობის მიღება, ჩვენ მათ გულახდილად ვიღებთო. დასასრულ მინისტრი ამბობს, რომ თუ კი დამფუძნებელი კრება ამ ხელშეკრულებას დაადასტურებს, საქართველოს მთავრობა გამოიყენებს მას მხოლოდ იმისთვის, რომ დაიცვას თავისი ინტერესები და ააცდინოს ხალხს ყოველგვარი საშიშროება, საიდანაც არ უნდა მოელოდეს მას ეს.

შემდეგ ლაპარაკობენ: სპ. კედია (ს. კედიას სტენოგრაფიული ანგარიში ხვალ დაიბეჭდება). ფრაქციათა წარმომადგენელი რ. არსენიძე (ს.-დ.) და ლ. შენგელაია (სოც.-რ.).

ორატორები სავსებით იწონებენ ხელშეკრულებას და გამოსთქვამენ ღრმა რწმენას, რომ მთავრობა ამ ხელშეკრულებას გამოიყენებს დამოუკიდებლობის და თავისუფლების დასაცავად.

მსჯელობის დასრულების შემდეგ ხელშეკრულება ერთხმად იქმნა დამტკიცებული.

სომხეთის მოხალეგი ახალქალაქი

საქართველოს საგანგებო წარმომადგენელისაგან ახალქალაქის მაზრაში ბ-ნ გიორგაძისაგან შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო:

„ახალქალაქში რომ ჩავედი იქ დამხვდა 3 დღით ადრე ჩასული ლტოლვილთა დამხმარე სომხეთის საგანგებო კომიტეტი. ეს კომიტეტი შესდგებოდა სომხეთის რესპუბლიკის მზრუნველობის და სასურსათო სამინისტროების წარმომადგენელთაგან. მივიღე რა მხედველობაში, რომ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლებს ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედების უფლება არა აქვთ თუ ამისათვის საჭირო დიპლომატიური მოლაპარაკება არ ყოფილა, გავეცი განკარგულება რომ საოლქო ადმინისტრაციას განეცხადებინა ოფიციალურად ამ კომიტეტისათვის, რომ მე ნებას არ ვაძლევ მუშაობისას სანამ ამის შესახებ საგანგებო განკარგულებას არ მივიღებ შეთქი.

გთხოვთ შემატყობინოთ ახალციხეში: იცის თუ არა რამე ამის შესახებ მთავრობამ, თუ არა ყოფილა სომხებთან ამაზე შეთანხმება, მაშინ ამის შედეგი კომიტეტის მაზრიდან გაძევება იქნება“.

ამაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ბ-ნ. რამიშვილმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: თქვენი დეპეშის საპასუხოდ გაცნობებთ რომ არავითარი ცნობა ამ საგანზე სომხეთის მთავრობას ჩვენთვის არ მოუცია. მოახდინეთ განკარგულება რომ ლტოლვილთა თანხის ხარჯვა შეეძლოს მხოლოდ იმ ორგანიზაციის რომელსაც ეხლა თქვენა ჰქმნით

დენიკინის შტაბი თბილისში

(წერილი ბათომიდან).

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ თბილისში გაფაციცებით მოქმედებენ აქ დარჩენილი რუსი ოფიცრები. რამდენი ოფიცერი წავიდა ჩვენ წინააღმდეგ მებრძოლ რაზმში ჩასაწერად, ამას თვლა არა აქვს; ეხლა აქ ჩვენ დიდა ქალაქშიაც ადგენენ რაზმებს და ჰგზავნიან მეორე ყუბანში, ბათუმში.

როგორც გაზეთებშიაც იყო აღნიშნული ბათომში სდგება მოღალატე გენ. ნათიშვილის მეთაურობით მთელი ლაშქარი, რომელშიაც აზრადა აქვს თავი მოუყარონ ისეთივე მოღალატე ქართველებს. ეს „ტუზემნი დივიზია“ როგორც ისინი არქმევენ, სამწუხაროდ, მართლა იზრდება თბილისიდან გამოგზავნილ ჯარის კაცებიდან და ოფიცრებისაგან. ყველაფერზე სამწუხარო ის არის რომ ამ დივიზიის დაარსების შემდგომ თბილისიდან მრავლად მოდიან ჩინ-დაკარგული, პატივ ყრილი ოფიცრები და აგზავნა ქართველები.

ამას წინად ჩამოვიდა ერთი ქართველი ოფიცერი შტაბ როტმისტრი ღოლობერიძე რომელსაც აქვს დავალებული ცხენოსან დივიზიონის შედგენა. მისი რწმენებულების ქაღალდი შედგენილია თბილისში „კავკასიის არმიის შტაბის ბლანკზე, ივნისის 2-ის თარიღით“.

აზის მეჯედი „Штабъ кавказской туземной дивизіи“-ისა ორ თავიანი არწივით ‚‚შუაში“ და ხელმოწერილია გენ. პრეევალსკის მიერ. ოფიცრის სიტყვით იგი ჩამოსულა გენ. ნათიშვილთან, მაგრამ ნათიშვილი თბილისისკენ წამოსულა... „დამფუძნებელ კრების წინაშე თავი უდა ვიმართლოო“ საგულისხმიეროა ნეტავ მართლა დამფუძნებელ კრების წინაშე თავის გასამართლებლად წამოვიდა მანდ გენ. ნათიშვილი თუ გენ. პრეევალსკისთან, ახალი დირექტივების მისაღებად. გაზეთებში ცნობა ბათომში დენიკინის რაზმების შედგენისა მართალია, მაგრამ არ უნდა დაიფაროს ის გარემოებაც რომ შტაბი ამ რაზმებს ჯერ ისევ თბილისში აქვთ. საჭიროა ჩვენმა მთავრობამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს.

სომხეთი

(სომეხთა საინფორმაციო ბიუროს ცნობები ერევანი თიბათვის 21).

ქაღალდის უქონლობა.

სომხეთში ქაღალდი მთლად გამოილია. საწერ ქაღალდის ერთი შეკვრა 500 მან. ღირს.

კოოპერატივთა ყრილობა

თიბათვის 29 სათვის დანიშნულია სომხეთის კოოპერატივთა ყრილობა.

საგზაო ხელშეკრულობა

სომხეთმა და აზერბაიჯანმა ურთიერთ შორის ტრანზიტის ხელშეკრულება დასდეს.

უხვი შეწირულება.

კარაპეტ აბიანმა მთავრობის წიგნთსაცავს სომხეთში 100.000 მ. შესწირა.

პარლამენტის არჩევნები.

ცენტრალ სარჩევნო კომიტეტმა გამოაცხადა რომ პარლამენტის არჩევნები ყველგან დანიშნულია თიბათვის 21, 22, 23 სათვის.

მთელ სომხეთში დაიწყო არჩევნები. მონაწილეობას იღებენ „დაშნაკელები“ ესერები, ქურთების ჯგუფი, აისორები, უპარტიო გლეხები და უპარტიო თანრები.

ნახიჩევანის რაზმი.

თიბათვის 15, ყაჩაღთა ბრბო 200 კაცისაგან შემდგარი თავს დაესხა არაზდაიანს. მოჰკლეს 1 ჯარის კაცი და 8 ლტოლვილი, დასჭრეს 4. გაგზავნეს დამხმარე ძალები რომლებმაც ქურთი ყაჩაღები არარატამდე მიადევნა.

ავადმყოფება.

პარტახტინი სახადით ავად გახდა 7 კაცი, შებრუნებული სახადით 1. სულ სახადით ავათ არის 179 კაცი.

ხაარჩევნო მიტინგი.

თიბათვის 20-ს შესდგა „დაშნაკცუტუნის“ საარჩევნო მიტინგი. მოლაპარაკენი ბლოკს ოკიტანებდენ ეროვნული საქმის დამლუპველობას და სომხეთის მეურნეობის იდეის მტრობას.

ინგლისელ დარაჯთა შეცვლა.

სანაინ—ერევნის რკინიგზაზე ინგლისელი დარაჯები, რომლებიც საურსა ვ ო მატარებლებს ‚‚აცილებენ“ ხოლმე, ინგლისელთა წინადადებით სომხურმა ჯარმა შესცვალა.

არარატიანის

სამხედრო მინისტრი არარატიანი ავადმყოფობის შემდეგ თავს „უკეთდა გრძნობს. თიბათვის 21-ს „ერევანში უნდა ჩამოსულიყო

საქონლის გაცვლა.

მთავრობამ მზრუნველობისადა ფინანსთა სამინისტროებს გადასცა განსახილველად, პარიზის დელეგაციის ეკონომიურ სეკციისაგან „მიღებული წინადადება, რომელიც სომხეთ საფრანგეთის შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლას ეხება.

ოფიცერთა კურსები.

გენერალურ შტაბის ოფიცერთათვის გაიხსნა მცირე ცდიანი კურსები. ჯერ-ჯერობით ჩაწერილია 20 ოფიცერი.

პარლამენტის არჩევნები.

პარლამენტის არჩევნები მწყობრად მიმდინარეობს. მრავალი მაჰმადიანი ხმას აძლევს დაშნაკცუტუნის პარტიას

დეპეშები

(საქ. დეპ. საგენტო)

24 თიბათვე.

მოსკოვი. „ლასკარ“-მს მეზღვაურთა სიტყვით, ორი სამხედრო გემის მეზღვაურები აჯანყდნენ, მანიფესტაცია მოახდინეს და გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელშიაც რუსეთიდან საფრანგეთის ჯარის გაწვევას მოითხოვდნენ. ორივე გემი საფრანგეთში გაუგზავნეს.

ნაუენი. ივნისის 21. ჰოლანდიის სოც.-დემ. მუშ. პარტიამ როტერდამში მიტინგი მოიწვია, ნიშნათ პროტესტის ნაძალადევ ზავის წინააღმდეგ ორატორების უმრავლესობამ და მათ შორის ტროელსტრამაც, ის აზრი გამოსთქვეს, რომ ასეთი ზავი უბედურებას უქადის ყველა ხალხს. ტროელსტრამ განაცხადა, რომ ეს ზავი რევოლიუციას გამოიწვევს შეთანხმების სახელმწიფოებში.

ჰელსინგფორსი, ივნისის 21. ფინური გაზ. „ტრიანა“ მსოფლიო რევოლიუციონურ მოძრაობის გაძლიერების შესახებ სწერს: პოლიტიკური კრიზისი საგრძნობი გახდა არა მარტო გერმანიაში, არამედ მთელ დასავლეთ ევროპაში. თუ ინგლისის და საფრანგეთის მუშები შესძლებენ თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, მაშინ რუსეთის საბჭოთა მთავრობა ერთის დაკვრით განთავისუფლდება თავის მტრებისაგან. კოლჩაკ-დენიკინს და სხვა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ ჯარებს მაშინვე შეუწყვეტენ დახმარებას, რის შემდეგაც ისინი იძულებული იქნებიან მოქმედება შეწყვიტონ. კოლჩაკის არმიის მდგომარეობა უკანასკნელ დროს მისი დამარცხების გამო ერთობ სერიოზულია. რალა იქნება მაშინ როდესაც ის მხოლოდ თავის თავის ანაბარად დარჩება? ეხლანდელ დაქუცმაცებულ ავსტრიაშიაც სწრაფად ეცემა მოკავშირეთა გავლენა. ერთად ერთი საბუფერო სახელმწიფო ჩეხოსლოვაკთა დაღუპვის პირზეა. უნგრეთის ჯარმა ძალიან დაამარცხა ჩეხოსლოვაკები. ჩეხო-სლოვაკების პირველი დამარცხების შემდეგი ის იყო, რომ ჩეხიასაგან სლოვაკია მოსწყვიტეს და გამოცხადდა დამოუკიდებელი სლოვაკიის საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც უკვე საბჭოთა უნგრეთის გზას დაადგა. იმავე გზით მიდი სწრაფი ნაბიჯით ავსტრიაც.

მელიტოპოლი, ივნისის 13. ადგილობრივ კომუნისტების რაზმმა მაზრაში თავმოყრილი ბრბო გაფანტა, ბრბო დაესურისკენ გარბის მელიტოპოლის პოლკმა 2000 მახნოელს იარაღი აყარა.

ჰელსინგფორსი. ფინელ აგრარიების გაზეთები აღელვებით სწერენ ფინეთის მთავრობას მიერ ფინეთის ყოველ მტრებთან დამეგობრების გამო. გაზეთი ამბობს, რომ რუსეთის შავრაზმელთა დიდმა ნაწილმა ფინეთში მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა და ყოფილი რუსის ოფიცრები ფინეთის ჯარში მიიღეს. ამ ჟამად ფინეთის არმიის ოფიცერთა შორის მრავალია ჟანდარმის ოფიცრები, და მაძებარი პოლიციის წევრი ფინეთის უმაღლეს წრეებში უმეტესი ნაწილი შვედურრუსული ელემენტები არიან, რის გამოც თვით ფინეთის დამოუკიდებლობა საფრთხეში ვარდება. ფინეთის თეთრგვარდიელების მთავარმა შტაბმა სამხედრო ნაწილებში ცირკულიარები დაგზავნა, მოწერილობით რომ ჯარისკაცთა შორის აგიტაციით და გაზეთების საშუალებით ნიადაგი მოამზადონ პეტერბურგზე გასალაშქრებლათ. ეს ცირკულიარები შემთხვევით ჩაუვარდა ხელში გაზეთს, რომელმაც ასეთის საქციელით აღელვებულმა, იგი გამოაქვეყნა.

პოლონეთის დროებითმა მთავრობამ შოწოდება გამოუშვა, რომელშიაც ფინეთის თეთრებს დახმარებისთვის მადლობას უცხადებს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლისთვის. მოწოდება თავდება წინადადებით, სადაც გამოთქმულია სურვილი ერთი რალის დაარსებისა, რომელიც, მოკავშირე თეთრები სცდილობენ, რუსეთს შემოარტყან. მთავრობა ჰელსინგფორსში გაემგზავრა ფინეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლათ ბოლშევიკებთან ბრძოლაში დახმარების შესახებ.

მოსკოვი. ივნისის 19. (ცუდი ამინდების გამო დეპეშების მიღება გაძნელებულია). **ჩერნიგოვი.** ივნისის 19. პარტიულ მოღვაწეთა მობილიზაცია ფრონტზე წითელ ჯარში სამუშაოდ კარგად მიდის. ჯარის სულიერი მდგომარეობა მტკიცდება. დეზერტირობას ადგილი არა აქვს. შეიგნო წითელმა ჯარმა მომენტის სიდიადე და ის მზათ არის გამარჯვებამდე პროლეტარულ რევოლიუციის იდეალებისათვის იბრძოლოს.

სამხედრო ცნობა. (დასაწყისი არ არის მიღებული) სარტორისკის აღმოსავლეთით მოწინააღმდეგემ მდ. სტირზე ხიდი დასწვა. ივნისის 18, რუზმის მიმართულებით მოწინააღმდეგემ შემოგვიტია, მაგრამ უკუ ვაგდეთ. კამენეც პოდოლის მიმართულებით ს. დოლიმიანი-სუკოვოსთან მოწინააღმდეგემ შემოგვიტია მაგრამ დიდი ზარალით უკუ ვაგდეთ. ჩვენმა საარტილერიო ცეცხლმა მტრის სამეთვალყურო გაანადგურა.

შინაური ფრონტი ზნამენსკის მიმართულებრი ფუნდუკლეკა და ციბულევკა ბრბოებისაგან გავწმინდეთ. რკინის გზით მიმოსვლა აღდგენილია ოიგოროსი და ფუნდუკლეკას მაზრაში ჩვენ მატრონეკოს მონასტერთან უტევთ. წითელმა ჯარმა ემერინკასთან მტრის ჰაეროპლანი გაანადგურა. იუწყებიან, რომ წითელი ჯარი რუმინელებს ამარცხებს და წინ მიიწევს.

მარიამ დედოფალი და გენ. ლაზარევი

ლაზარევმა გიორგი მეფე ადვილად აიყოლია, და გადაჰკიდა შვილი მამას და მამა შვილს, ამ ბოროტების დასათესათ ლაზარევს უხმარნია შემდეგი:

გიორგი მეფის მეუღლე, მარიამ გიორგი ციციშვილის ასული, რომელიც მეფე გიორგიმ პირველი ცოლის სიკვდილის შემდეგ შეირთო, ‚‚ისეთი თვალადი და ლამაზი ყოფილა, რომ მისი მსგავსი ქალი თურმე მთელს საქართველოში არ მოიძებნებოდა. ამიტომაც, ერთ დღეს ლაზარევმა მეფე გიორგის აუწყა შემდეგი ‚‚ორი თუ ნამდვილი ამბავი:

ბატონო მეფეო, თქვენი შვილი დავით მიუხედავათ იმისი, რომ არ იქცევა თქვენს მოსაწონად, რომ იგი მარხვიეამიაც არის თქვენის ჯიბრით და უორმუნო, გემდურეთ კიდევ მასზედ რომ თქვენი მეუღლე დედოფალი მარიამის შერთვა მას სდომნია და თქვენ დაგისწვრიათ მისთვის და თქვენ შეგირთავთ, ამაზედ გემდურით იგი დიდათ“.

ბედშავი მეფე გიორგი გადირია თურმე ამ ამბავისაგან და ამავე დღეს თურმე თავის შვილი დავითი ნახა, ამ ჭორის საყვედური კი არ უთხრა და ის კი აუწყა: შვილო დავით, მარხვას ნუ სჭამ, ცოდვა არისო. თორემ ვერ იმეფებო. დავითმა უარი უთხრა მეარხვის ჭამას ვერ დავიშლი. რაც შენ გწამს ის მე გამიწყრესო და რაც მე მწამს ის შენ გაგიწყრესო. ასეთი პასუხი მისცა მამას. რაკი ლაზარევმა ეს ამბებიც გაიგო მის შემდეგ, გიორგი მეფე მალე ნახა და ისეთი შხამიანი ცნობა გადასცა, რამაც ეს ჭრისტიანი მეფე ლოგინში ჩააგდო. აი თურმე რა ქნა და რა უთხრა ამ ბოროტმა ღენერალმა მეფე გიორგის: „დავითი ამბობს, რომ მართალია, მამაჩემმა წამართო ჩემი საცოლო, მაგრამ ეს არასფერი, მამაჩემი სნეული კაცია, იგი მალე მოკვდება და მე მაინც ჩემს წადილს ავისრულებო“.

რადგანაც ლაზარევმა გიორგი მეფის ოჯახში თავისი შხამი ისე ჩაანთხია, რომ მამა და შვილი ერთმანეთს სასტიკად გადაჰკიდა, რის შიში მას დიდათ ჰქონდა ამის მერე იგი სხვა ბოროტ გზას დაადგა ახლა სხვა იგი იმ ბატონიშვილებს დაუახლოვდა, უფრო კი იმათ ვისგანაც შიში ჰქონდა. გიორგი მეფის შემდეგ რომ იგი არ გამეფებულიყოს.

ესენი იყვნენ მეფე ერეკლეს შვილები: ალექსანდრე, იულონი, ვახტანგი და სხვანი, ამათში მან კარგი მოჰკიდა ვახტანგ ბატონიშვილს, რომელიც ისე შეისყიდა და ისე მიიბირა თვისქენ, რომ მერე თვითონ ეს ვახტანგ ბატონიშვილი გამხდარა მიზეზი საქართველოს უბედურების და დამხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის. ვახტანგი ლაზარევს მიუმხრია ჩინებით და ფულით. ამ ბატონიშვილის წყალობით დამხობილა საქართველოს საბეჭო. ამ პირის ბოროტებაზედ დაწერილ ბატონიშვილი აი რას ამბობს:— „ესე ვახტანგი იყო ბოროტების მთესველი და თავი და ბოლო სიცბილისა, რომლისაგანაც დაემხო ტახტი და ოჯახი ბაგრატიონთ მეფობისა საქართველოში“. ასე ახასიათებს ამ პირს დავით ბატონიშვილი. ლაზარევმა ვინც შეისყიდა, ის ხომ მისი იყო და რუსეთის ერთგულნი და ვინც ვერ დაიყოლია, იმათ კიდევ უსისინებდა.

ალექსანდრე ბატონიშვილს ეუბნებოდა, რომ მამა თქვენი ირაკლი მეფე იყო დიდი მეფე, მას დიდი ამაგი აქვს საქართველოზედ, ამიტომ მისი ანდერძი უნდა აღსრულებული იქმნეს, ტახტი გიორგის შემდეგ ძმათა უფროსობით უნდა გადავიდეს და არ მოიშალოს ერეკლე მეფის ანდერძი, რადგანაც თქვენა ხართ უფროსი ძმა, ამიტომ თქვენ გერგებათ ტახტი. ალექსანდრე ბატონიშვილს ასე ასისინებდა.

იულონ ბატონიშვილს ეუბნებოდა: „რადგანაც მამის თქვენის ერეკლე მეფისაგან გიორგის შემდეგ თქვენა ხართ მეფეთ დანიშნული, ამიტომ თქვენ ვალი გაძევთ, რომ მამის თქვენის ანდერძი არავის მოაშლევინოთ და სხვა არავინ გამეფდეს თქვენის მეტი. მეფე ერეკლეს ანდერძი თქვენ ისე უნდა დაიცვათ, რომ ამისთვის თუ საჭირო იქნება, იარაღიც უნდა იხმაროთ და სისხლიც დაღვაროთ.

დავით ბატონიშვილს ასე ხიბლავდა — შენა ხარ გიორგის შემდეგ ტახტის მემკვიდრე, პაპა შენი მეფე ერეკლე შემცდარა, რომ ისეთი ანდერძი დაუტოვებია, ამ შეცდომას რუსეთის მთავრობა თავიდან აგაცდენს და საქართველოს მეფეთ შენ დაგამტკიცებენ მით უფრო, რადგანაც შენ რუსეთის გენერალიც ხარ.

ერთი სიტყვით ყველა ბატონიშვილებს ეს ბოროტი ისე ასისინებდა და ისე რაზმავდა, ვისაც როგორ რა მოუხდებოდათ, იყვნენ ისეთი ბატონიშვილები, როშელთაც ტახტის შიღება არ ერგებოდათ და თუ ერგებოდათ, ეს იქნებოდა ერთობ გვიან, ასეთებს კიდევ აი რა დარიგებას აძლევდა იგი. ასეთის დარიგებით მოუხიბლავს და შეუსყიდნია ვახტანგ ერეკლე მეფის ძე

ჩემო ვახტანგ, შენ აბა რა გერგება, არასფერი, შენ ვინც კარგად გაცხოვრებს, შენთვის ის უნდა იყოს კარგი და საჭირო. შენ ვინ იცის როდის გერგება მეფობა და იმ დროს ცოცხალი იქნება თუ არა, შენ დღეგანდელი დიდება ირჩევ. შენ გახდი რუსეთის ერთგული, შენ ამით იპოვნი დიდს ბედნიერებას, იცხოვრებ კარგად და დიდის დიდებით“, ასე მოხიბლა თურმე ლაზარევმა არა მარტო ვახტანგ ბატონიშვილი, არამედ სხვანიც ბევრნი.

მან შეაცდინა თვით დავითიც, ესეც ატყუილა ასე და აღლოლიაებდა, ეტყოდა: შენ სამეფოს ვერვინ წაგართმევს, გიორგის შემდეგ შენა ხარ მეფეთ, მოიცადე, შენის ნებით ნუ გამეფდები, მალე რუსეთის იმპერატორი გაგამეფებს 1783 წ. ტრაქტატის ძალით, დაკითიც ამას ელოდა.

ის კი არა და ამ ლოდინში ალექსანდრე პირველის ბრძანება მოუვიდა გენერალ ლაზარევს, რომ საქართველო გიორგი მეფის თანხმობით რუსეთის იმპერიასთან დაკავშირებულ იქმნა და საქართველო რუსეთის გუბერნიებათ გამოაცხადეო.

დავით ბატონიშვილს ტახტი წაერთვა ლაზარევის მოტყუილებით და დალოლიებით, ყველაფერი უბედურება რაც ამ გენერალს მიეწერება, ამისთვის აქ მოვიყვანთ შემდეგ ცნობას რაც ჰლატ. იოსელიანისაც მოჰყავს „მეფე გიორგის ცხოვრებაში“.

მეფე გიორგი შეწუხდა დიდად, იმ დროს, მეფესთან შევიდა მეუღლე მისი მარიამ დედოფალი, ამან მოახსენა თავის ქმარს, მეფე გიორგის ასე:

„ბატონო მეფეო, რას გვიბრძანებთ, თუ რომ უბედურება გვეწვია, ვის აბარებთ სამეფოს, დედა თქვენს, შვილს დავითს, თუ თქვენს ძმებს“. მეფე გიორგიმ მიუგო თურმე თავის ცოლს, მარიამ დედოფალს ასეთი სიტყვა:

„დედოფალო დამიძახეთ გენერალ ლაზარევს, მე აუჩენ პატ-ონსა“.

მალე აფრინეს კაცი გენერალ ლაზარევთან, ეს მალე მივიდა მეფესთან, ლაზარევმა უკარნახა მეფეს, ურჩია საქართველოს შეერთება რუსეთთან, თორემ სულ ერთია ერეკლეს შვილები შენს შვილებს არ დაანებებენ მეფობასაო. აშიტომაც მეფეს რა დარიგებაც ლაზარევმა მისცა, მეფემაც ის დარიგება დაავალა ლაზარევს ასე:

„ღენერალო, დასწერეთ წერილი მოკლეთ და აცნობეთ, იმპერიტორს პავლეს უკანასკნელი დღენი ჩემი და ისიც, რომ ცოლშვილი და საქართველო ჩამიბარებია მისთვის“.

ლაზარევსაც ეს უნდოდა, დასწერა ამან მოკლედ წერილი, მეფემ ხელი მოაწერა, ბეჭედი დაასვეს, ჩასდეს კონვერტში და შიკრიკს მისცეს და გაგზავნეს რუსეთში პავლე იმპერატორთან.

ამ გარემოებამ ალაშფოთა ეხოლოთ ბატონიშვილები ამ გარემოებამ არია ყველა იგინი და მაშინ კი იცნეს ზოგი ერთებმა ლაზარევი თუ იგი რა გველიც იყო, ამის უკმაყოფილნი იყვნენ არა მარტოთ სამეფო გვარის წევრნი არამედ სხვანიც, რადგანაც ლაზარევმა გიორგი მეფის წერილი პავლე იმპერატორს ისე გაუგზავნა, რომ იგი არავის გააგებინა, გარდა მარიამ დედოფლის, ეს კი ყველაფერს უყურებდა იმას, თუ ლაზარევი როგორ ხიბლავდა და ატყუილებდა ხოლმე მის ქმარს გიორგი მეფეს.

ამ დღიდამ მარიამ დედოფალს დათ შესძაგდა გენერალ ლაზარევი. მარიამ დედოფალი თავის ოჯახის უბედურებას და საქართველოს ბატონიშვილების აღგვის და ერთმანეთზედ გადაკიდების სულ ლაზარევის ბრალიაო იტყოდა თურმე: სწორედ ამ გენერლისაგან ატეხილ შფოთმა გამოიწვია ის გარემოება, რომ მეფე გიორგი სიკვდილის დღიდამ სამი თვე დარჩა დაუსაფლავებელი, სიონის ეკკლესიაში ესვენა.

გიორგისაგან ჩუმათ პავლესთან წერილის მოწერა გახდა არა მარტოთ საქართველოს აღრევის მიზეზათ, არამედ შფოთებისაც და კინალამ მეფე ერეკლეს შვილებმა მეფე გიორგის შვილებიც კი დახანჯლეს ყველაფერი ეს რომ ლაზარევის მოწყობილი იყო ამას კარგად ხედავდენ ყველანი და უფრო მარიამ დედოფალი. ამ გარემოებამ ისე ცუდათ არასზედ იმოქმედათ როგორც მარიამ დედოფალზედ. ამ დღიდამ მარიამ დედოფალმა რუსის გენერალი თვალით აღარ დაინახა. მას ახლოს არ იკარებდა და არც სამეფო სახლში უშვებდენ.

1802 წ. ბოლოს, საქართველოში ჩამოვიდა პირველ მთავარ მართებლად გარუსებული პ. ციციშვილი. ამის მოსვლითი ლაზარევს დილა გაუთენდა. ამ დროს ბატონიშვილებს დაუწყეს რუსეთში გადასახლება, ბევრნი უკვე გადასახლებულები იყვნენ, დარჩა ცოტაოდენი და მათ რიცხვში მარიამ დედოფალიც თავის წვრილი შვილებით. ლაზარევს ეღირსა და მალე ამის ნებაც მისცა ციციშვილმა, რომ წადი შენ და მარიამ დედოფალი დაიჭირე და რუსეთში ძალით გაგზავნეო. ამის მიზეზი თურმე ის გახდა, რომ ლაზარევის ჩაგონებით, ერთ სომეხს დაუბეზღებია ციციანოვთან, რომ დედოფალი მარიამი მთიულეთში იპარებაო.

ამიტომაც 18 აპრილს, 1803 წ. ღენერალი ლაზარევი დაეცა მარიამ დედოფალს რუსის ჯარით თავის სახლში და ძალით უწყო გამოთრევა, დედოფალი ამაზედ აღელდა და გენერალი ლი გაფიცხა, მაგრამ მან კვალად ძალადობა იხმარა, ამ დროს, იქ იყო ნიკ. ხიმშიაშვილი, დედოფლის მიშკარბაში.

გაბრაზებულმა დედოფალმა ნიკოლოზ ხიმშიაშვილს ხანჯალი სთხოვა, რომ ამით შებრძოდა ღენერალს, ნიკო ხიმშიაშვილს შერცხვა დედოფლის, მას ხმალი არ უბოძა და თვით დაარტყა გენერალს და თავი გააგდებინა. ამ დროს რუსის საღდათებმა დედოფალი მარიამ დასჭრეს კიდეც. ლაზარევის მოკლა დედოფალმა დაიბრალა! დედოფალი თავის წვრილი შვილებით დაიჭირ.ს, მერე რუსეთში გადასახლეს ბელოგოროდის გუბერნიაში, დედათა მონასტერში მარიამ დედოფალი რუსეთში გარდაიცვალა 1851 წ. გვამი მისი მცხეთაში მოასვენეს და დაასაფლავეს

ამ ამბავს ასე გადმოგვცემს დავით ბატონიშვილი.

„შესმენითა სომეხი ზურაბ აფრიამოვისათა, შეასმინა დედოფალი, ვითომ იპარება ფშავშიაო. რათა იძულებით წარეგზავნა რუსეთს, იქმნა მუნ შფოთი, სადაც რუსთა დაჰკოდეს დედოფალი მხარსა და ხელსა, ამ შფოთსა შინა ხმლით მოკლეს ღენერალი ლაზარევიც, დედოფალი დაკოდილი ბრალეული ჰყვეს და შვილებითა თვისითა წარგზავნეს რუსეთს, ფრიად წვრილი შვილებით, რომლისა ჰვრეტა მჭვრეტელთათვის იყო საზარო და დააპატიმრეს დედოფალი მარიამ ძეებითა თვისითა ბელოგოროდის დედათა მონასტერსა, რომელიც არის კურსკის ღუბერნიასა, ვინაიდგან განუნახველობითა თვისითა ციციშვილმან შეამთხვია ესე ვითარი ძვირი სახლსა სამეფოსასა და დასდვა სირცხვილი დიდი რუსეთსა“.

მარიამ დედოფალმა შური იძია საქართველოს სამეფოს მკვლელთ გული გაუგმირა.

ზ. ჭიჭინაძე.

სახ. უნ. სამკ. ფაკ. სტუდ. საღამოს გამო

ყველას კარგად მოეხსენება თუ რა ცუდ მდგომარეობაშია ამ ჟამად უნივერსიტეტი სახელმძღვანელობის მხრივ განსაკუთრებით-კი სამკურნალო ფაკულტეტი; მიუხედავად სტუდენტის მძიმე მდგომარეობისა,—რადგან სწავლასთან ერთად თითქმის ყველა სტუდენტს უხდება ლუკმა პურზე ზრუნვა დაღლილი, ენერგია გამოცლილ მეხანიკურ მუშაობით მიდის და ისმენს ლექციას, მაგრამ განა მარტო ლექციების მოსმენაა საჭირო, რომ შეითვისოს რომელიმე დარგი მეცნიერებისა ისიც ქართულ ენაზე, რომელიც ბევრმა არ იცის. რასაკვირველია არა. აქ არის საჭირო გაორკეცებული შრომა, ენერგია და სახელმძღვანელიური— უკანასკნელი კი ჩვენ სტუდენტობას სრულიად არ მოეპოება. ამას წინად სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტობამ ქართული კლუბის საზაფხულო შენობაში გავმართეთ საღამო, რომლის მიზანი იყო შემოსულ ფულიდან სახელმძღვანელოების გამოცემა ქართულ ენაზე. საღამომ მოგვცა 35000 მან. ვინც ამ საღამოს დაესწრო ყველა სიამოვნებით დაბრუნდა, მაგრამ უზომო სიხარულს განვიცდიდით ჩვენ სტუდენტობა როდესაც ვხედავდით, რომ ჩვენი საზოგადოება არაფერს ზოგავდა ჩვენთვის. ნათქვამია, რომ ერის გონივრული სიმდიდრე მოზარდი თაობით დაფასდებაო და ჩვენც იმედი გვაქვს—რომ ის ზრუნვა, შემწეობა, რომელიც გამოგვიწოდა საზოგადოებამ უკვალოდ არ ჩაივლის. სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტთა სახელით ულრმეს მადლობას ვუძღვნით ქ-ნ გომართლისას და გრიშაშვილს, რომელთაც არ დაზოგეს არც ძალა და არც ენერგია ჩვენი საღამოს მოსაწყობათ.

ამხანაგთს მონდობილობით.

შ თაქთაქიშვილი.

სათანადო ყურადღებისათვის.

აგერ ერთი წელიწადია მას აქეთ, რაც დღეში 4-5 ჯერ და ხშირად მეტადაც მიხდება სიარული ბარონის ქუჩით და ერთ განსაკუთლებულ ადგილს მუდამ ჟამს ასდის საშინელი შმორის სუნი. ეს გახლავთ ბაზრის და ბარონის ქუჩის კუთხეში მდებარე დიდი სახლი, სადაც ყოველნაირი სარდაფებია მოთავსებული.

მეგონა ან მილციელი, ან რომელიმე კომისარი, დაბოლოს ქალაქის თვითმართველობის სასანიტარო ნაწილი მიაქცევდა ამ გარემოებას ყურადღებას და აიძულებდა სახლის პატრონს ზომები მიეღო, მაგრამ ვიმეორებ' წელიწადი შესრულდა და ეს აუტანელი მყრალი სუნი სულს უხუთავს ყოველ გამვლელ გამომვლელს.

ნუ თუ ამას ვერც ერთი სათანადო დაწესებულება ვერ აქცევს ყურადღებას?

მოალოგებულია ხოლერის და საერთოდ ეპიდემიებას სეზონი და ვალად ვრაცხთ თავს პრესის საშუალებით მაინც ვაცნობოთ ეს ფაქტი ვისაც ჯერ არს

იმედია, უყურადღებოთ არ იქნება დატოვებული ეს ამბავი და არა თუ ბარონის ქუჩაზე მდებარე სახლის (ზედა სართულში მოთავსებულია გაზ. „შრომის“ რედაქცია) სარდაფებიდან განდევნილი იქნება სიბინძურისა და ანტისანიტარიის წყარო, არამედ ბინისა და სახლის პატრონიც სასტიკად იქნებიან დასჯილნი

მოქალაქე

კორესპონდენცია

სოფ. ახუთი. თითქმის ორი თვე გავიდა მას აქით რაც სოფ. ახუთში მოკლეს ადგილობრივი მოქალაქე მიხა ჯიქია, და ჯერ ჯერობით კი ყურადღება არავის არ მიუქცევია თუ რა მიზეზით მოკლეს იგი. არც ადგილობრივი და არც უმაღლესი მთავრობა მას ყურადღებას არ აძლევს რაც დიდად სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. დიდად საინტერესოა, რა არის ამის მიზეზი, რომ კაცი მოკლან, ისიც ხალხის სასამართლოში და მას მთავრობამ ყურადღება არ მიაქციოს. აქ მინდა ორიოდე ცნობა გაგიზიაროთ მისი მოკვლის შესახებ 1918 წ. როდესაც სამეგრელო მთელ ნახევარ წლის განმავლობაში ბოლშევიკების ბრბოების ხელში იყო, მაშინ სოფ. ახუთში დიდი ძარცვა-გლეჯა ადგილი ადგილობრივი მიდუქნეებზე. და რადგანაც ზემოთ ხსენებული ჯიქია ახლოს ცხოვრობდა დუქნებზედ. ყველა იმას გაიძახოდა რომ მიხა ჯიქიას მოქმედება არის სულ ყველაფერიო და იგი ეჭვით შეიპყრეს იგი იყო ჯერ ზუგდიდის სატუსალოში, მერე კი გადაყვანილ იქმნა ქუთაისში. ზემოდ ჯიქიას ძმებმა არ იკადრეს მაგისთანა ცილის წამება და მთელი ძალღონით შეეცადნენ გაეგოთ მართლა ვინ იყვნენ ეს ქურდ-ბაცაცები, რათა თავისი ძმა ეხსნათ ტყუილა უბრალოდ დაპატიმრებაზე. და ბევრი ლონის ძიების შემდეგ კიდევაც მიაღწიეს მიზანს და მართლაც რომ აღმოაჩინეს ის ვაჟბატონები რომლებზედაც ეჭვიც არ ჰქონდათ ვაჭრებს რომ ისინი სჩადიოდენ მაგისთანა საზიზღარ საქციელს. მაგრამ ყველანი დარწმუნდნენ როდესაც რომ მათ თავიანთი ხელით მოატანინეს ნაქურდალი ნივთები, რომლებიც პატრონებმა იცნეს და ზოგიერთი გამონაკლისით უკვე ჩაიბარეს. თურმე აქ საქმე რაში ყოფილა: ამ ქურდ ბაცაცებთან კავშირი ქონიათ თვით სოფლის კომისარს და მწერალს და ამათი შემწეობით ის ქურდ-ბაცაცები რასაც კი მოისურვებდნენ სულ-ყველაფერი სისრულეში მოყავდათ. მხოლოდ მათი საქციელი კი მიხა ჯიქიას ბრალდებოდა და როდესაც გაიგეს მიხა ჯიქია ამ საქმეში მართალი ყოფილა, ხალხმა იგი უკან მოითხოვა და მის ალაგას უნდა გაგზავნილიყვნენ ქვემოთ ჩამოთვლილი პირები კ. საჯაია, ბ. პაპასკირი, ი. კაცია და ჭ. გაგინავა ის პირები რომლებიც ახდენდნენ ხალხში და კერძოდ მედუქნებზე ძარცვა გლეჯას. ხალხი მოითხოვდა რომ ეს პირები მეტის მეტად დასჯნა მთავრობას. მაგრამ სამწუხაროდ ასე არ მოხდა. მათ თანაშემწე კომისარმა და მწერალმა ისინი დაპატიმრეს მხოლოდ ერთი კვირით, და არც კი შეუტყობინებიათ უმაღლესი მთავრობისთვინ ისევ გაანთავისუფლეს ხალხის დაუკითხავად. ამასობაში დაბრუნდა ქუთაისიდან მიხა ჯიქიაც, და გაიგო რა ქურდების აღმოჩენა მოისურვა ხალხის წინაშე თავის სიმართლის აღიარება, მხოლოდ იმ ვაჟბატონებს კი უსაყვედურებდა ამაში შური იძიეს ხსენებულ ქურდ-ბაცაცებმა ვინაიდან ყველამ გიგო მათი საიდუმლოება, და ერთი სიტყვით შეეცადნენ რამე ნაირად შური ეძიათ მიხაზე ან მიხას ძმებზე რომლებმაც ჯამოაშკარავეს მათი ეშავრაზმული მოქმედება. და ბოლოს კიდევაც შეასრულეს თავიანთი მუხანათური წადილი. 16 მარტს, (ახ. სტ) გამოიხმო თავის სახლიდან კ საჯაიამ მიხა ჯიქია და მოტყუებით მიიყვანა იგი სასამართლოში და იქ ვერაგულად მოკლა და მიიმალა. სულ ყველაფერი ეს მოხდა ორ მილიციონერების თვალწინ, რომლებსაც არავითარი ზომა არ მიუღიათ რომ დაეჭირათ საჯაია რომელიც ხელში რევოლვერით გარბოდა. თვით ამ მკვლელობაში არა ნაკლები მონაწილეობა მიუძღვის ადგილობრივ მასწავლებელ ს. შ—ს. რომელიც თურმე გზას უჩვენებდა ბოროტ-გამზრახველ საჯაიას თუ საით გაქცეულიყო. რასაკვირველია, ამის უყურადღებოდ მიტოვება შეუძლებელია და თუ რამე ზომები არ მივიღეთ ამ შავრაზმელების წინააღმდეგ, უფრო მეტის მოწმენი გავხდებით, და იმედია ამას მთავრობა ყურადღებას მიაქცევს და გამოიკვლევს ყველაფერს.

ახუთელი.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნ-ვერსიტეტისა
ბ. ბ. მეგრაგიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რეტგენის-ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. დიდი სალენინიდი და ასევალის ტიკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძის კიკნაძისა
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება), ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნიე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ტრფოგა ნამეგული

(ისტორიული რომანი)

შუქურთან გაცნობის შემდეგ აშოტის ოჯახმა თითქო განზედ გაიწია მის პიროვნობისაგან სახლობა თუ ოჯახი ხომ განგრძობაა და განვითარება სახლის მამის არსებისა სხვა და სხვა ფერად მოვლინებული, პირადპირადად განხორციელებული. შუქურთან დაახლოვებდის ესე სწამდა აშოტს, ესე გრძნობდა იგი. ეხლა კი მისი ოჯახიც დასცილდა მის პიროვნობას, მოსწყდა და მოექცა მოვალეობათა თუ თანამდებობათა ფარგალში. აშოტი წინანდებურადა ბრუნავდა თავის სახლობაზედ, ის ეხლა უფრო მეტს პატივს და მფარველობას უწევდა თვის სამეფო კერას, მაგრამ ეს მხოლოდ მისთვის, რომ მოვალე იყო ესე მოქცეულიყო, ხოლო მოვალეობის ღალატს არ იყო ვაჟკაცი ნაჩვევი, ვერც ოდესმე შეეთვისებოდა მისი ბუნება ნატვირთ თანამდებობისადმი გარეწრობას. მისი პირადი ნეტარების ყვავილი კი გადასჭკნა და ჭახმა მის კერაზედ. იქნება იგი არც როდის იყო სიცოცხლით სავსე მდელო სუნნელი, მხოლოდ გარეგანი სახე ჰქონდა ცხოვრებისა მას შემოსილი?!

ესეთმა სულიერმა განწყობილებამ თანდათან იძულებული ჰყო აშოტი მთლად დაეახლოებინა ახალი სული თავისთან, მანძილი შეეპრა თვისსა და მის შორის, იქვე ეცხოვრებინა თავის გვერდზედ: ჰსურდა სიმშვიდის ფერია მათრობელი მარად თანაჰყოლოდა, ხელმისაწდომად. ეხლა მეფე იმაზედ ფიქრობდა, მოეხერხებინა და ქალი თვის სასახლეში გადაეყვანა, თანაც ისე, რომ გარეგანი სახე კეთილქცევისა შერჩენოდა მის მოქმედებას, არავისათვის ავი სიტყვა არ ეთქმევინებინა, ქვეყანა არ აელაპაკებინა. ვერაფერი მოეგონნა: პირდაპირ ქცევასა თუ თქმას იყო ნაჩვევი, რაინდულ გულახდილობას, მაგრამ ეს სახე მოქმედებისა არ გამოდგებოდა: აქ ხერხი გასჭრიდა მხოლოდ, მოქნილი რამ ქცევა რიდით ფარული, სხვის თვალთაგან განუჭვრეტელ რიდით ბურვილი. მეტი გზა არ იყო, უნდა გაენდო ვისთვისმე თვისი წადილი, რომ ამ გვარ საქმეებში გაოსტატებული ხელით შესრულებულიყო ეს სახითათო მოქმედება. საქმე კი მართლა საეჭვო იყო და სამძიმო: ამ გვარ კავშირს რომ ჰკრულავდა ეკლესია, ეს სახე ურთიერთობისა რომ საშინლად იგმობებოდა ხალხისაგან, ეს ამბავი ცეცხლსაც დააგზნობდა უშრეტს მის საკუთარ კერაზედ: მცხინვარე ნაკვერცხლად გარდაიქცეოდა მისი მეუღლე ახდილი.

— არ დაიძინებს გურანდუხტ, მანამ არ დაშლის ჩემს ნეტარებას, რაკი მთლად დარწმუნდება ჩემ ამ გვარ კავშირში შუქურთან. ყველა ძალებს აამოძრავებს ჩემს გარშემო და უსათუოდ მავნებს, ორივეს გვავნებს საშინელის ვნებით: მოსპობს შუქურს, ჩემს სიცოცხლეს და გულის ყვავილს!

52.

საღამოხანი იყო. მზე შუბის ტარზედა იდგა მთიდან, რომლის მწვერვალს ოდნივ დაჰნდობოდა ფრთა შეწითლებულ ღრუბლის ქულა. დღის სიცხე დაშეებულიყო; სიო აგრილებდა ნახურებ ჰაერს ბუნება მიყუჩებილიყო, სოვლიმდა: ძილად მისვლისას დამცხრალიყო დღის დაუდგრომელი მოძრაობისაგან. საამო სიმშვიდე დაფენილიყო გარემოთ და იწვევდა სულს, დაწყნარებულიყო, მოეცდინა დღიურ დრტვინვათა თუ ზრუნვათაგან, აესხა ოცნებათა ფრთები, გაჰყოლოდა მათ ნარნარ ფრენას სამარადისო მშვენების სამფლობელოსკენ, რომლის ზურმუხტის ბეჭედნი ჯერ ისევ ძალუძს ადამიანს მიაწიოს და შორიახლო მაინც განიცადოს ის უჩრდილო ნეტარება, რომელს თანდათან ჰშორდება ტვირთ შემძიმებული კაცთა ნათესავი, რომელი ოდესმე იქნება სთლადაც მეფეროს გაწამებული კაცობრიობისაგან, რომელიც იქნება მხოლოდ ღმერთია სავანელა შეიქმნას ადამიანთაგან გონებითაც ძლივს მისაწვდომი. უწინ კი.. ეჰ, წინად ადამიანიც ღმერთებთან ერთად სცხოვრობდა იმ ნეტარების ედემში, რადგან თითონაც ერთი ღმერთთაგანი იყო გულუბრყვილო ეხლა... ან მხოლოდ იშვიათნი უახლოვდებიან მას, ღირს იქმნებიან იხილონ ზურგით კერძო მაინც და დასტკბენ მისი საპფირონებრივის ელვარებით.

დედოფალი რომ განმარტოებულიყო ეხლა და თავის გალიაკის სარკმლიდგან გადმოჰყურებდა მის თვალით წინ გადაშლილ დიდებულთ ბუნებას მიყუჩებულს მის სვლისაც წამიერად ეპოვნა სიმშვიდის ნავი აფრა ასხმული და მიმასცურავდა ნეტარების წალკოტის ზღუდე—ყორესთან. კმაყოფილი იყო დედოფალი დღეს: დიდმა სამეფო მეჯლიშმა უხინჯოდ ჩაიარა, მწყობრად, ყველას სასიამოდ. მზრუნველებმა თუ მეწესეებმა ყოველ მოლოდინს გადააჭარბეს მოვალეობის შესრულებაში; მომღერლებმა ბულბულის ენა ამოიდგეს; მოსაუბრებმა მეცნიერთ და მეკვრმეტყველთ მოსტაცეს ჰაზრთა სალარო თუ სიტყვათა ნწყობრდენის საიდუმლო; ლელწამტანმა მოცეკვავეებმა მზის სხივებს აართვეს ციმციმი თუ ნათელთა კრთოლვა, ხღვის ჰავლებში მოთამაშე დილის მზის სხივებს. თვით დიდი ბიზანტიიდან მოსული დიდებული სტუმრები მთლად კმაყოფილნი დარჩნენ, ძლიერ მადლობელნი. სანოვაგისა და პირად პირადი ჭურჭლის სიმდიდრით თუ სიმშვენივრით არ დაუვარდებოდა დღეს აშოტის სუფრა დიდებულ ტაბლას კეისარი ბასილისა.

— სხვანაირად არც შეიძლება! მეფის სასახლე უნდა ჰსახავდეს ხალხის, მთელი ერის, სულიერს და ნივთიერ საგანძურს, როგორც ანკარა წვეთი ჰხატავს მზის სხივთა სიმრავლეს და შარავანდედს! იტყოდა კმაყოფილი.

ულიმოდა დედოფალი მოგონებას თუ ოცნებებს და მით უფრო სასიამოვნო იყო მის სახეზედ ეს კმაყოფილების ღიმილი თუ სიამის დაფიონი, რომ იშვიათი იყო ესეთი ყოფა მარადზრუნვათა ტალღებზედ ატივტივებულ მანდილოსნისათვის მჭმუნვარისა მეჯლიშში მხოლოდ ერთხელ გადურბინა დედოფალს უსიამოვნების ჩრდილმა და ეს მაშინ, როდესაც ბიზანტიელ სტუმარს მიართვეს ღვინით სავსე ჩოღრათო. სტუმარმა რომ წარმოსთქვა სადღეგრძელო და ასწია სასმისი, დედოფალმა ჭურჭლის გრეხილ ყელში ლაქებს რასმე მოჰკრა თვალი. სამეფო ჭურჭლის გამგე მანდილოსანს ვერ შეენიშნა ჭურჭელი და ეხლა დედოფლის სიამეს ააჩნდა ლაქებად ის დაუფერავი ადგილი სასმისისა. მაინც წამიერი უსიამოვნობა იყო ეს და მაშინ მთლადაც უკვალოდ გადირბინა მან დიასახლისის მზრუნველ გულზედ. ეხლა კი, როდესაც გონების თვალით მეორედ განიცდიდა იმ საიშვიათო დროს ტარებას, იგი ლაქები ისევ თვალთ წინ დაუდგნენ დედოფალს და უფრო შემუქებულ-შემუქულნიც. ეს იყო მიზეზი, რომ ერთს წამს შუბლი შეიკმუჭნა მბრძანებელმა. მის წარმოდგენაში იმ დაუფერავ ადგილის გვერდზედ ამოჩნდა ჭურჭელთა მცველის მინაოჭებული სახე. ცხადვიყავ თვალწინ დაუდგა იგი განძეულთა გამგე დედაკაცი.

— მაპატიე, დედოფალო დიდებულო, თავხედი კადნიერება: გავბედე და შემოველ დაუკითხავად, უხეშად დავარღვიე შენი მყუდროება! მაპატიე, შენის ღვთის გულისათვის!

— უჰ, შემაკრთე! რა ამბავია ან რა გაგჭირებია ეგეთი?

— გაჭირვება შორს არის ჩემგან: მანამ თქვენ კალთის მფარველობის ქვეშ ვიმყოფები, მაგრამ გვევდრები განმათავისუფლო ჩემის მოვალეობისაგან: უკვე სამძიმოა იგი ჩემთვის; დავბერდი, გავტყდი, თვალთ აღარ მიჭრის. ხუმრობა არ არის, ნეტარხსენებული ნერსეს დროიდან მიჭირავს ეს თანამდებობა.

— რამ გაფიქრებინა?

— მეჯლიშში რომ შუბლი შეიკარი, ის ჩემი ბრალი იყო. ვეღარ ვუვლი სამეფო ჭურჭელს მურასას, ვერ შევნიშნე ჭუჭყი; ალბათ უძვირფასეს ქვათა ბეყვეროიალმა ამიბა თვალები: სასმისს სწორედ იმ ადგილასა აქვს გოპარი მრავლად შეყრილი. სახლთხუცესმა შენიშნა შენს სპეტაკ შუბლზედ წყენი ნასახი და საშინლად გაწყრა. განმათავისუფლე ამ სამსახურიდან! სთქვა მსახურმა.

ვახილ ბარნოვი.

(შემდეგი იქნება).